ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 22 თებერვალი 2006 №39 (2661) ფასი 50 თეთრი


# ელენე, შენ მართლაც მშვენიერი ხარ!

„ეს იყო მშვენიერი და მომაჯადოვებელი!“ — წერენ უცხოური სააგენტოები ელენე გედევანიშვილის გუშინდელ გამოსვლაზე. მართლაც, ამ ჯერაც ცეროდენა ბავშვს იმედით კი ვუყურებდით, მაგრამ როგორ წარმოვიდგენდით, ოლიმპიურ პრიმადონებს თუ მიუახლოვდებოდა?! ბავშვებად სხვები ჩანდნენ, პატარა ელენემ კი გუშინ ტურინში ფიგურული სრიალის ქალთა მოკლე პროგრამაში იმდენად უნაკლოდ და ლაზათიანად შეასრულა ურთულესი ილეთები, რომ 57,90 ქულით ალალი მეექვსე ადგილი შეხვდა. პირველ ადგილზე კი ამერიკელი საშა კოენია 66,73 ქულით, რომელმაც თვით 66,70-ქულიან რუს ირინა სლუცკაიასაც აჯობა.






AFP ტურინიდან

# მილანთან პირნათელი კახა კალაძე საქართველოში ქირისუფლად მოდის




AFP მიუნხენიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები. გუშინ

### ბაიერნი 1:1 მილანი

1:0 ბალაკი (23), 1:1 შევჩენკო (57პ)

ბაიერნი: რენსინგი, სანიოლი, ლუსიო, ისმაელი, ლამი, სალიჰამიჯიჩი (ქარიმი 58), დემიკელისი, ზე რობერტო (შოლი 77), ბალაკი, მაკაი (გერერო 80), კ. პიზარო

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

მილანი: დიდა (კალაჩი 69), სტამი, ნესტა, კალაძე, სერჟინიო, გატუზო (ფოგელი 85), პირლო, ზეედორფი (იანკულოვსკი 90), კაკა, შევჩენკო, ჯილარდინო

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: ზეედორფი, გატუზო

მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

70 000 მაყურებელი

### ბენფიკა 1:0 ლივერპული

1:0 ლუიზაო (84)

ბენფიკა: მორეტო, ალსიდესი, ლუიზაო, ანდერსონი, ლეო (როჩა 87), პეტიტი, ბეტუ (კარაგუნისი 58), მ. ფერნანდეში, რობერი (ნელსონი 77), ნუნუ გომეში, სიმაო

მწვრთნელი: რონალდ კუმანი

ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, რიისე, ლუის გარსია, სისოკო (ჰამანი 35), ხაბი ალონსო, კიუელი, მორიენტესი (ჯერარდი 78), ფაულერი (ჯ. სისე 66)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: ლუის გარსია, ბეტუ, ჰამანი

მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)

65 000 მაყურებელი

### პსვ ეინდჰოვენი 0:1 ლიონი

0:1 ჟუნინიო (65)

პსვ ეინდჰოვენი: გომესი, რაიციგერი, ოიერი, ალექსი, ლამეი, აფელაი (ა. კონე 73), სიმონსი, კოკუ, კულინა (აისატი 54), ფარფანი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

ლიონი: კუპე, კლერკი, კრისი (ვილტორდი 46), მიულერი, აბიდალი, ტიაგუ, მ. დიარა, ჟუნინიო, გოვუ, კარეუ (ფრედი 63), მალუდა

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

გაფრთხილება: ჟუნინიო, დიარა, გოვუ, გოვუ, ვილტორდი

გაძევება: გოვუ (81)

მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

34 000 მაყურებელი

### რეალი 0:1 არსენალი

0:1 ანრი (47)

რეალი: კასილიასი, სისინიო, სერხიო რამოსი, ვუდგეიტი (მეხია 9), რობერტო კარლოსი, ბექემი, გრავესენი (ჟულიო ბაპტისტა 76), გუტი, ზიდანი, რონალდო, რობინიო (რაული 63)

მწვრთნელი: ხუან რამონ ლოპეს კარო

არსენალი: ლემანი, ებუ, კ. ტურე, სენდეროსი, ფლამინი, ლიუნგბერგი, ჟილბერტო სილვა, ფაბრეგასი (ა. სონგი 90), გლები (პირესი 76), ანრი, რეიესი (დიაბი 80)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: სისინიო, ფაბრეგასი, კასილიასი, რეიესი

მსაჯი: სტეფანო ფარინო (იტალია)

75 000 მაყურებელი



ბაიერნი — მილანი. ანდრეი შევჩენკომ მიხაელ რენსინგს თამაშიდან ვერა, მაგრამ პენალტის ნიშნულიდან კი აჯობა

## მილანის არსენალი მიუნხენში და ტრაგიკული ჟანრი მადრიდში

„ბაიერნმა“ და „მილანმა“ „ალიანს არენაზე“ ჩემპიონთა ლიგის დაბრუნება საბრძოლო ფრით აღნიშნეს. მასპინძლებს დაშავებული ოლივერ კანის შემცვლელად გამოუცდელი მიხაელ რენსინგი ედგათ კარში...

ანგარიში გერმანელებმა გახსნეს — 23-ე წუთზე მიხაელ ბალაკმა ბრწყინვალე დარტყმით ტაბლოზე 1:0 აანთო. მეორე ტაიმის 58-ე წუთზე კი ბაიერნელ ისმაელს საჯარიმოში ბურთი ხელზე მოხვდა და ანდრეი შევჩენკომ პენალტით იხეირა.

ეს ფრე საპასუხო მატჩში, ცხადია, უპირატესობას იტალიელებს აძლევს. გერმანულ მატჩზე კი ისიც ვთქვათ, რომ შესანიშნავად ითამაშა თბილისში ჩამოსასვლელად გამზადებულმა კახა კალაძემ — მისთვის ამ ტრაგიკულ ჟამს მოედანზე გასვლაც კი გმირობის ტოლფასი იყო...

მადრიდის „რეალმა“ „ბერნაბეუზე“ წაიბორძიკა — „არსენალმა“ დიდებულად იბურთავა და მასპინძელთა მეკარე იკერ კასილიასი რომ არა, ლოპეს კაროს ბიჭები უხვგოლიან განადგურებას ვერ ასცდებოდნენ. მატჩის ერთადერთი გოლი კი „არსენალის“ ფრანგმა ვარსკვლავმა ტიერი ანრიმ შეაგდო. მადრიდული ინჩადა კი, ცხადია, განრისხებული დარჩა — არა იმდენად წაგებით, არამედ საყვარელი გუნდის უსუსური ბურთაობით.

„ლიონმა“ სტუმრად პსვ-ს მოუგო და შარშან გაზაფხულზე ლიგიდან გამოთიშვისთვის ჰოლანდიელებზე მცირედით გული მოიოხა.

„ბენფიკამ“ კი გათამაშების მოქმედი ჩემპიონი, „ლივერპული“ დაამარცხა. ერთადერთი გოლი ლუიზაომ მატჩის მიწურულს შეაგდო.

**ლადო ხომერიკი**



პსვ — ლიონი. ანდრე ოიერის ეინდჰოვენელებს ფლორენ მალუდას „ლიონმა“ უთავაზა



რეალი — არსენალი. ტიერი ანრიმ „სანტიაგო ბერნაბეუ“ დაადუმა

## fanaoba@hotmail.com

თავდაპირველად, ასე, ორი წლის წინ, „სარბიელში“ გაჩნდა რუბრიკა „ევროფანი“, რომელშიც დაუზარელი გულშემატკივარი ევროპის ჩემპიონატზე გვიზიარებდა შთაბეჭდილებას.

ევროპის ჩემპიონატი დასრულდა და რუბრიკამ სახელი შეიცვალა: ჯეოფანად გადაიქცა და მას მერე ქართულ ფეხბურთს დასტირის.

რასაკვირველია, ევროფანი და ჯეოფანი კიდევ შეგახსენებთ თავს, მათ კი ერთი რუბრიკაც დაემატა, რომელშიც ევროპულ საკლუბო ფეხბურთზე შეგიძლიათ გამოაგზავნოთ თქვენი აზრები, სურვილები თუ პროგნოზები. ჩემპიონთა ლიგა იწყება და ევროპული საკლუბო ფეხბურთიც აქტუალური თემა გახდება. ამ რუბრიკას კი ფანაობა ერქმევა.

მოკლედ, მოიწერეთ: **fanaoba@hotmail.com**-ზე.

არაკორექტული შინაარსის წერილები, რა თქმა უნდა, არ დაიბეჭდება.

fanaoba@hotmail.com

### ინგლისი

**კონფერენსლიგა გადადებული მატჩები**

ალტრინჩემი 1:2 ჰალიფაქსი
ბარტონი 2:0 კემბრიჯი
ფორესტ გრინი 0:0 გრეივსენდი
გრეისი 0:4 დაგენემი
ჰერეფორდი 2:1 ალდერშოტი
კიდერმინსტერი 1:0 ქროული
სტივენეიჯი 3:0 ქონვი
უოქინგი 1:0 ექსეტერი
იორკი 2:1 ტემუორთი

**LDV VANS TROPHY ნახევარფინალი პირველი მატჩი**

კარლაილი 2:1 მაკლსფილდი

### გერმანია

**სამხრეთ რეგიონალლიგა გადადებული მატჩი**

მიუნხენი (მ) 1:2 აუგსბურგი

### ბელგია

**იუპილერლიგა გადადებული მატჩი**

რუზელარე 2:0 შარლერუა

### საფრანგეთი

**მეორე დივიზიონი გადადებული მატჩი**

რეიმსი — ბასტია გადაიდო

### თურქეთი

**თასის ჯგუფური ეტაპი მეოთხე ტური**

ბეშიქთაში 3:0 სარიერი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე წრე

16 ტური

# 9 მაისის დასაწყისი

## დღეიდან: საქართველოს ახალი ჩემპიონატი

...ჯერ არც ერთი მერცხალი არ შემოფრენილა თბილი ქვეყნებიდან, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატის სისტემას შემოდგომა-გაზაფხულისა ჰქვია და, კაცმა რომ თქვას, რა შუაშია მერცხალი: დათბა, ალაგ-ალაგ შემორჩენილი თოვლიც დნება და იწყება ის, რაც 9 მაისამდე უნდა გაგრძელდეს — მეორე წრე.

აბა, გადავხედოთ, რომელ უცხოურ ჩემპიონატშია შუასასეზონოდ ამდენი მიდი-მოდი? არსად, საქართველო ამ მხრივაც „პირველია“ — თექვსმეტი გუნდია და ამ თექვსმეტიდან რამდენმა შეინარჩუნა სახე? მარტო ის კმარა, ზამთრის პერიოდში ექვსმა კლუბმა რომ შეიცვალა მთავარი მწვრთნელი, შემადგენლობები ხომ მთლად გადასხვაფერდა...

ერთი კაცი დააკლდა ლიდერ „ვიტ ჯორჯიას“, მაგრამ ის ერთი ოთარ მარცვალაძეა. ცხრილის ზედა რვა გუნდიდან მხოლოდ „ამერზე“ და „ბათუმზე“ იტყვი, გაძლიერდაო. „ლოკომოტივს“ შარშანდელი ძირითადი შემადგენლობის თითო-ოროლა ფეხბურთელიღა შემორჩა. კახა ცხადაძის „სიონმა“ ბოლო დღეებში დაიწყო სატრანსფერო ფუსფუსი და, ცხადაძის ყოფილი და ახლა ანდრეი ჩერნიშოვის „დინამო“ ხომ მუდამ ფავორიტია და მისი მეოთხეადგილოსნობა კონკურენტებს არც ატყუებს...

მოკლედ, იწყება ჩემპიონატი თავისი შემჭიდროვებული კალენდრით და მინდვრებს დასვენება არ უწერიათ — მიამატეთ სათასო მატჩები და ნახავთ, ყოველ სამ დღეში თამაშებია...

დღეს კი სამეორეწრეო პირველი ტურის ექვსი მატჩია.

ქალალდზე „სიონი“ — „ლოკომოტივი“ ყინჩად ჩანს, მეორეადგილოსანი მესამეს ხვდება, მაგრამ რკინიგზელებზე რომ არაფერი ვთქვათ, ბოლნისელებმაც რამდენიმე ახალწვეულის განაცხადში შეყვანა ჯერ ვერ მოასწრეს, თუმცა რა — „სიონი“ მათ გარეშეც მოერია თასზე „ბორჯომს“, თანაც ეს ნეიტრალურ სტადიონზე მოახერხა და, ლოგიკას თუ მივყვებით, „ლოკომოტივთანაც“ არ უნდა გაუჭირდეს.

ფოთის „კოლხეთმა“ საპირველწრეო შემადგენლობა თითქმის მთლიანად შეინარჩუნა, მაგრამ „ვიტ ჯორჯიას“ შესუსტებული ესტუმრება — ზღვისპირელებს ჯონი შალამბერიძე და ლევან ვართაგავა დისკვალიფიცირებული ჰყავთ, გიორგი კილასონიასა და გიორგი კრასოვსკის კი ტრავმები აწუხებთ, არადა, ოთხივე ძირითადის მოთამაშეა. „ვიტ ჯორჯიას“ კი სალსალამათი შემადგენლობა ჰყავს და რა უნდა მოხდეს, სამი ქულა ვერ აიღოს? რა და, თუ „კოლხეთი“ ისევე ჩაბეტონდება დაცვაში, როგორც ამას წინათ „ამერთან“ გააკეთა, ან კიდევ, თუ ვიტელებს ფატალურად არ გაუმართლებთ.

ანდრეი ჩერნიშოვი დღეს პირველად უთავკაცებს „დინამოს“ არაამხანაგურ მატჩში და ალბათ სამ ქულასაც მოიმკის. „კახეთი“ აუტსაიდერებთან მძლავრობს, თორემ „დინამოსთანა“ გუნდებთან ბუზის ამფრენიც არ ჩანს. ჩემპიონები დღეს ვერ ათამაშებენ ბრაზილიელებს — ვიეირასა და ამბროზიოს, ასევე გიორგი შაშიაშვილს, ხოლო, თუ ჩერნიშოვი მიკროტრავმიან სანდრო იაშვილს ათამაშებს, ძმების დუელსაც ვიხილავთ — „კახეთის“ მეკარე გიგა იაშვილი ხომ მისი უმცროსი დედმამიშვილია.

ერთი შეხედვით, კარგი საჩუქარი მიიღო „თბილისმა“, რადგან ზესტაფონში თოვს და „ოლიმპზე“ უმასპინძლებს თემურ მახარაძის გუნდს. გიორგი დევდარიანის ბიჭებმა სეზონისწინა ტესტ-მატჩები ბლომად მოიგეს, მაგრამ „ზესტაფონს“ ჯერ ვერ შეედრებიან — მახარაძეს სრული შემადგენლობა ეყოლება, ეგაა, იმერლებს „ფეროს“ გარშემო ატეხილი სკანდალი აფორიაქებთ.

აი, „ამერს“ კი ფოთის „კოლხეთთან“ შინ ვერმოგებული სათასო თამაში აფორიაქებს, თორემ ყველა ფეხბურთელი მწყობრში ჰყავს და „ტორპედოსთან“ მატჩისთვის დისკვალიფიკაციამოხდილ კაპიტან გიორგი დავითნიძესაც დაიბრუნებს. ქუთათურებს სამომავლოდ სერიოზული მიზნები აქვთ, რამდენიმე დღეში გუნდს რევაზ ძოძუაშვილი ჩაიბარებს და საგაისოდ სამეულში შესვლას აპირებენ, „ამერი“ კი ამის გაკეთებას წლეულსვე გეგმავს. ბაკურიანი, ანთალია... გლდანელებმა ისეთი ნაყოფიერი შეკრებები გაიარეს, „ტორპედოს“ ვერც დაესიზმრებოდა. ჰოდა, რა თქმა უნდა, ფავორიტიც ცნობილია...

არგენტინა — ბრაზილია: არა, ეს მსოფლიოს ჩემპიონატი ან კოპა ამერიკა არ გეგონოთ, ბორჯომელ დარიო სებალესა და ბათუმელ ტიაგოს დუელს ვნახავთ კურორტზე. სოსო ფრუიძის გუნდს მეორე არგენტინელი, გონსალო დე პორასი დააკლდება, რადგანაც მისი სატრანსფერო ფურცელი აგვიანებს. თუმცა მარტო დე პორასი არაა ბორჯომელთა პრობლემა — მათ განაცხადში ჯერ ვერ შეიყვანეს ლევან სანიკიძე, ტრავმირებულია ვლადიმერ გოჩაშვილი, დისკვალიფიკაცია აქვთ ელიკ საჯაიასა და დავით ბაქრაძეს... ფრუიძემ გვითხრა, 11 ფეხბურთელი კი გვიგროვდება და დანარჩენებს მეორე გუნდიდან ავიყვანთო.

ამ დროს კი „ბათუმი“ კურორტზე უძლიერესი შემადგენლობით ჩავა. ზღვისპირელებმა ლამის ნახევარი „ლოკომოტივი“ და კიდევ რამდენიმე საინტერესო ფეხბურთელი დაიმატეს...

**ილია ნანობაშვილი**

ბორჯომი. 22 თებერვალი. 14 საათი. ჯ. ზეინკლიშვილი

### ბორჯომი — ბათუმი

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი, ლ. მიქელაძე, დ. კვეტენაძე, ა. ნონიკაშვილი;
**დამკვირვებელი:** ა. შალამბერიძე

მცხეთა. 22 თებერვალი. 14 საათი. არმაზი

### ვიტ ჯორჯია — კოლხეთი

**მსაჯები:** ლ. სილაგავა, ზ. მენთეშაშვილი, დ. კურტანიძე, ვ. ელისაბედაშვილი;
**დამკვირვებელი:** თ. ლორთქიფანიძე

თბილისი. 22 თებერვალი. 14 საათი. ეროვნული

### დინამო — კახეთი

**მსაჯები:** გ. კიკაჩეიშვილი, ზ. ჯვარიძე, ნ. რუსიშვილი, ო. ხეცაძე;
**დამკვირვებელი:** რ. ტალიაშვილი

თბილისი. 22 თებერვალი. 14 საათი. ოლიმპი

### ზესტაფონი — თბილისი

**მსაჯები:** დ. ხარიტონაშვილი, გ. ცირდავა, ზ. ასკაროღლი, ჯ. ბუიშვილი;
**დამკვირვებელი:** ს. კვარაცხელია

თბილისი. 22 თებერვალი. 14 საათი. ამერი

### ამერი — ტორპედო

**მსაჯები:** გ. ვადაჭკორია, მ. ელიკაშვილი, ზ. ფიფია, მ. ბეუქლიშვილი;
**დამკვირვებელი:** ა. დურსუნიში

ბოლნისი. 22 თებერვალი. 14 საათი. თ. სტეფანია

### სიონი — ლოკომოტივი

**მსაჯები:** დ. სანაია, კ. გაბრიაძე, ზ. ხუციშვილი, მ. მაისურაძე;
**დამკვირვებელი:** ი. მჭედლიშვილი

თბილისი. 23 თებერვალი. 14 საათი. შევარდენი

### სპარტაკი — დილა

**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ლ. თოდრია, ა. ორდინიძე;
**დამკვირვებელი:** ს. ლორთქიფანიძე

გორი. 23 თებერვალი. 14 საათი. ქართლი

### ცხინვალი — სოხუმი

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი, თ. ხუჭუა, მ. ნაკაიძე, ლ. კვარაცხელია;
**დამკვირვებელი:** მ. მალაფერიძე



ბადრი კეთილაძის ფოტო

მე-17 ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში „ამერმა“ „ტორპედოს“ ქუთაისში 1:0 აჯობა. რა იქნება დღეს გლდანში?

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 15 | 11 | 3 | 1 | 33:10 | 36 |
| სიონი | 15 | 11 | 2 | 2 | 28:12 | 35 |
| ლოკომოტივი | 15 | 10 | 3 | 2 | 26:6 | 33 |
| დინამო | 15 | 10 | 2 | 3 | 25:7 | 32 |
| ბორჯომი | 15 | 10 | 0 | 5 | 29:15 | 30 |
| ამერი | 15 | 9 | 2 | 4 | 15:9 | 29 |
| ზესტაფონი | 15 | 8 | 3 | 4 | 18:11 | 27 |
| ბათუმი | 15 | 6 | 4 | 5 | 13:12 | 22 |
| კოლხეთი | 15 | 7 | 1 | 7 | 16:17 | 22 |
| დილა | 15 | 5 | 1 | 9 | 21:24 | 16 |
| კახეთი | 15 | 5 | 1 | 9 | 14:25 | 16 |
| ტორპედო | 15 | 3 | 4 | 8 | 10:17 | 13 |
| ცხინვალი | 15 | 3 | 3 | 9 | 10:26 | 12 |
| სოხუმი | 15 | 3 | 1 | 11 | 14:36 | 10 |
| თბილისი | 15 | 1 | 2 | 12 | 9:29 | 5 |
| სპარტაკი | 15 | 1 | 2 | 12 | 3:28 | 5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 14-მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| 11-დვალი | სიონი/დინამო |
| 8-ქორიძე | ბორჯომი |
| მეგრელაძე | დინამო |
| 7-ქუთათელაძე | კოლხეთი |
| იონანიძე | ზესტაფონი |
| 6-დოლიძე | სიონი/ამერი |
| ბობოხიძე | დინამო |
| დავითაშვილი | ამერი |
| ხანიშვილი | დილა |

გერმანული „შალკეს“ ლიდერი ლევან კობიაშვილი ერთ-ერთია, ვისაც საქართველოს ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი უკვე გაეცნო. შეხვედრა დაახლოებით ერთი თვის წინ დიუსელდორფში თავად მწვრთნელის თხოვნით შედგა და დაახლოებით ოთხ საათს გაგრძელდა. ილაპარაკეს ყველაფერზე, რაც კი ქართულ ფეხბურთს შეეხებოდა, ინფრასტრუქტურით დაწყებული, ლამის ნაკრების კანდიდატთა ფეხის ზომით დამთავრებული.

ჩვენ კი ლევან კობიაშვილთან დაკავშირება ამ შეხვედრის შემდეგ გუშინ პირველად შევძელით და, რა თქმა უნდა, მეტწილად სწორედ ამ ამბავზე ვესაუბრეთ...




# კობიაშვილმა და ტოპმიოლერმა ერთმანეთი დაარწმუნეს: საქართველო მოიგებს

— ევრო 2008-ის შესარჩევი ჯგუფის კენჭისყრა ჩატარებული არ იყო, როცა კლაუს ტოპმიოლერმა დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. დიუსელდორფში ვნახეთ ერთმანეთი, მას თავისი თანაშემწე რალფ მინგე ახლდა. საკმაოდ დიდხანს ვისაუბრეთ, ტოპმიოლერმა ჩვენი ნაკრების ამბები გამომკითხა, მთელი ათი-თხუთმეტი წლის ისტორია მომაყოლა. ყველაფერი აინტერესებდა, პირადი თუ საფეხბურთო ცხოვრება, სათითაოდ ყველა ფეხბურთელის დახასიათება მთხოვა, რომელ ქვეყანაში რომელი და რამდენი ლეგიონერი თამაშობს, რომელ კლუბებში არიან, სათამაშო პრაქტიკა თუ აქვთ... მოკლედ, ძალიან დიდხანს ვისაუბრეთ, ისიც კმაყოფილი დარჩა და მეც.

— უფრო კონკრეტულად ვერ გვეტყვი, რა გკითხა და რა უპასუხე?

— აბსოლუტურად ყველაფერი გამომკითხა, ქომაგების ამბავიც კი. მერე თავისი სამუშაო პროგრამა გამაცნო, რამდენიმე ამხანაგური მატჩი გვაქვს დაგეგმილი, რაც ევროშესარჩევის დაწყებამდე საფუძვლიანად მომზადებისთვის გამოგვადგებაო. მაშინ პარაგვაისთან თამაში გადაწყვეტილი არ იყო, ეგ მითხრა და ამის გარდა ზაფხულში კიდევ ორი შეხვედრის ჩატარებას ვაპირებთო. მალტის ტურნირი, ალბანეთი, პარაგვაი და კიდევ ორი მატჩი მოსამზადებლად ნამდვილად კარგი იქნება.

— საუბრის შემდეგ მწვრთნელზე როგორი წარმოდგენა დაგრჩა?

— ის ძალიან მონდომებულია. წარმატებაში დარწმუნებულია და მეც დამარწმუნა, რომ ჩვენს გუნდს გაცილებით კარგად თამაში შეუძლია. უკვე ერთი სული მაქვს, მისი ხელმძღვანელობით როდის ვითამაშებთ. ამ შეხვედრის შემდეგ სულ მგონია, რომ მართლაც დიდ წარმატებას მივაღწევთ. ოღონდ მარტო ტოპმიოლერი ვერაფერს იზამს, მას ყველა გვერდით უნდა დავუდგეთ. ფეხბურთი მხოლოდ ტაქტიკა არ არის, უფრო მეტია და საამისოდ ტოპმიოლერს თანადგომა სჭირდება. ტოპმიოლერმა საქმე, ფაქტობრივად, ნულიდან უნდა დაიწყოს. თავადვე მითხრა, ძალიან ბევრი სამუშაო მექნება, მაგრამ რადგანაც ამ საქმეს ხელი მოვკიდე, ესე იგი, თქვენი და ჩემი თავის მჯერაო.

— შენთან შეხვედრამდე ტოპმიოლერი საქართველოში ორჯერ იყო...

— კაცი გაოცებული ჩანდა, ასეთი მასპინძლობა არსად მინახავსო. საქართველოში პირველივე სტუმრობის შემდეგ უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ საქართველოში იმუშავებდა. თუმცა ისიც თქვა, საფეხბურთო ინფრასტრუქტურა, ფაქტობრივად, არ არის და ბევრი რამეა მოსაწესრიგებელიო.

— გერმანიაში ტოპმიოლერზე და საქართველოზე რას ამბობენ?

— ტოპმიოლერის ჩვენთან დანიშვნის ამბავი იმ პერიოდში პრესაში წამყვანი თემა იყო და ყოველდღე რაღაც ახალი იწერებოდა. სპორტულ არხებზე კი გაუთავებლად ტოპმიოლერზე ლაპარაკობდნენ. მას გერმანიაში დიდი ავტორიტეტი აქვს და ყველა პატივს სცემს.

— „შალკეში“ რა გითხრეს?

— სხვათა შორის, ჩემი თანაგუნდელი ტომაშ ვალდოხი თავის დროზე ტოპმიოლერთან „ბოხუმში“ თამაშობდა და ჩვენი მწვრთნელი მანაც დამიხასიათა. თბილი და მეგობრული კაცია, ფეხბურთი კი მისთვის შეტევააო, ასე მითხრა და შეხვედრისას მეც დავრწმუნდი, რომ ტოპმიოლერი მართლაც ძალიან თბილი ადამიანია.

— გუნდში რა ხდება, ჩემპიონობაზე ხელი უკვე ჩაიქნიეთ?

— სასწაული უნდა მოხდეს, რომ „ბაიერნმა“ წლეულს ჩემპიონობა დაკარგოს. ჩვენ კი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ვიბრძოლებთ. ჯერჯერობით ახალი მწვრთნელის ხელში ყველაფერი კარგადაა, თამაშებს ვიგებთ, მაგრამ ქულებს ჯერ არც კონკურენტები — „ვერდერი“ და „ჰამბურგი“ — ანიავებენ.

— ისე, „ჰამბურგისგან“ წლევანდელი შედეგი ცოტა მოულოდნელიც არის...

— გერმანიაშიც ასე ამბობენ. „ჰამბურგს“ მაღალი კლასის ფეხბურთელები არ ჰყავს, მაგრამ შეკრული გუნდია და კარგად თამაშობს. ისე კი, ვფიქრობ, „ჰამბურგს“ სეზონის ბოლოს ჩავარდნა უნდა ჰქონდეს. მთელ ჩემპიონატს ერთ რიტმში ვერ ჩაატარებ.

— ახალმა მწვრთნელმა სათამაშო პოზიცია შეგიცვალა?

— დროებით ისევ მარცხენა მცველად ვთამაშობ, რამდენიმე ფეხბურთელი ტრავმირებულია და მწვრთნელი იძულებულია, დაცვაში დამაყენოს, თორემ თავადვე მითხრა, შუა ნახევარმცველად მჭირდებიო.

— ნაკრებში სათამაშოდ როდის მიდიხარ?

— კვირას მალტაზე ვიქნები. ხუთშაბათს უეფას თასის შეხვედრა გვაქვს, შაბათს ბუნდესლიგის ტურია და კვირას უკვე ნაკრებს შევუერთდები.

**ქობა ინასარიძე**

# ტოპიმ ტური არ ჩააგდო

**მეტისმეტად** მჭიდრო გრაფიკის მიუხედავად, საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა თბილისში ჩამოსვლა მაინც გადაწყვიტა. იგი ფედერაციის გენერალურ მდივან უჩა უგულავასთან ერთად წუხელ უნდა დაბრუნებულიყო პარაგვაული მივლინებიდან. სავარაუდოდ, ტოპმიოლერი ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ტურის ერთ-ერთ თბილისურ შეხვედრას დაესწრება. რაც შეეხება მის თანაშემწეებს, რალფ მინგესა და ჰაინც ტოპმიოლერს, სხვა ორ თამაშს მიადევნებენ თვალს. ჯერჯერობით უცნობია, რომელ მატჩებზე შეჩერდება მათი არჩევანი. გუშინ გერმანელები დაინტერესებულან, ბორჯომამდე და ბოლნისამდე რამდენი საათის სავალიაო. ამდენად, არ არის გამორიცხული, დღეს ხსენებულ ორ ქალაქში გერმანული სტუმრიანობა იყოს.

და ერთიც: საქართველოს ნაკრების გაფართოებულ სიაში შეყვანილი ფეხბურთელებიდან ერთადერთი შოთა არველაძეა, რომლის მალტაზე ჩასვლაც საბოლოოდ ჯერაც არ არის გადაწყვეტილი.

**გიორგი ნოზაძე**

# ყაზანი და ქართველობა ფინალში

**ესპანეთში**, ლა მანგას ტურნირზე ნუკრი რევიშვილის, ლაშა სალუქვაძის და გიორგი ქინქლაძის „რუბინმა“ მესამე მატჩიც მოიგო — ყაზანელებმა 2:1 სძლიეს ნორვეგიულ „ვიკინგს“ და ფინალში 24 თებერვალს სამარის „კრილია სოვეტოვს“ გაეჯიბრებიან.

„ვიკინგთან“ არ უთამაშია რევიშვილს, ხოლო სალუქვაძემ და ქინქლაძემ შესაბამისად 60 და 78 წუთი ითამაშეს.

**ნიკა ჯორჯაძე**

# სიონს ათოვს ტრანსფერი

## კამერუნ-უკრაინამდე ქართველების ჯერია

**ბოლნისის** „სიონის“ ტრანსფერომანია გრძელდება. ხვალ ჩემპიონატის მეორე წრე იწყება, გუნდმა სრულად დაკომპლექტება ვერ მოასწრო და...

გიორგი კვიტაიშვილი პირველ წრეშიც თამაშობდა „სიონში“ განათხოვრებით, ზამთრის შეკრება კი თავის გუნდ თბილისის „დინამოსთან“ ერთად გაიარა, თუმცა 20 წლის ფლანგელი ნახევარმცველი ბოლნისელებმა ისევ ინათხოვრეს დინამოელთაგან.

„სიონის“ გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა გვაცნობა, რომ გუნდის ახალწვეულები არიან მცველი დავით ჭიჭვეიშვილი და ფორვარდი მიხეილ ხუციშვილი. ჭიჭვეიშვილი ორიოდ წლის წინ თამაშობდა „სიონში“, ბოლოს კი ყაზახურ „ატირაუში“ იყო.

ჭიჭვეიშვილის მსგავსად, მიხეილ ხუციშვილიც უცხოეთიდან მივიდა „სიონში“. იგი აზერბაიჯანის „გიანჯას“ ბომბარდირი გახლდათ. და, სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ თელავის „კახეთში“ ვარჯიშობდა, თუმცა „სიონი“ რომ „კახეთზე“ ფინანსურადაც ძლიერია და კონტიგენტითაც, ეს ხუციშვილმაც კარგად იცის.

ერთიც: არაა გამორიცხული, ბოლნისელებმა ვეტერანი მცველი ლევან სილაგაძეც დაიმატონ, რომელიც ბოლოს უგუნდოდ იყო.

რაც შეეხება ორ უკრაინელს: ევგენი ლაშჩუკთან კონტრაქტი, დღე-დღეზე გაფორმდება და დღეისთვის ელიან კიდევ ერთ უკრაინელ სერგეი გურბიენკოსაც. რიგში კი სამი კამერუნელი დგას და, ამბობენ, სამივენი ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშეები არიანო.

**ილია ნანოგაშვილი**


დავით ჭიჭვეიშვილი „სიონში“ დაბრუნდა

# გიორგი დემეტრაძეს ძაღლის ყეფაც არ გაუგია

თელ ავივის „მაკაბიში“ სამი კვირის გადასული გიორგი დემეტრაძე ჩვეულ სათამაშო ფორმას ნელ-ნელა იბრუნებს და დღეს ისრაელის თასზე ახალი გუნდის ძირითად შემადგენლობაშიც ალბათ პირველად ითამაშებს. აქამდე ის „მაკაბიში“ სულ სათადარიგო იყო და მოედანზეც შემცვლელად თუ გამოჩენილა...

თელ ავივში კი გიორგი დემეტრაძე ანთალიიდან მოულოდნელად გაემგზავრა. თურქეთში ვლადიკავკაზის „ალანია“ სეზონისწინა შეკრებაზე იყო და მაკაბელებიც ჩვენიანს სწორედ ანთალიაში დაუკავშირდნენ. დეტალები რამდენიმე საათში მოაგვარეს და ქართველ ფეხბურთელს კონტრაქტიც გამზადებული დაახვედრეს...



## ებრაელი ქართველების პირობა: შენს თამაშს აღარ გავაცდენთ

— „მაკაბისთან“ ხუთთვიანი კონტრაქტი გავაფორმე. ამ სეზონის ბოლომდე აქ დავრჩები, მერე კი, შესაძლოა, თელ ავივში კიდევ ორი წლით დავრჩე, ვნახოთ, იქამდე რა როგორ იქნება — გვითხრა გიორგი დემეტრაძემ, რომელსაც „მაკაბიში“ გადასვლის შემდეგ პირველად შევეხმიანეთ.

**— ჯერჯერობით კმაყოფილი ხარ?**

— ყველაფერი კარგადაა. სიმშვიდე, კარგი გუნდი, პირობები...

**— სიმშვიდე რატომ ახსენე?**

— რა ვიცი, აქ წამოსვლამდე მეუბნებოდნენ, ისრაელში ომი და ერთი ამბავია, ფეხბურთისთვის არავის სცალიაო. ჩამოვედი და ავტომატის ხმა კი არა, ძაღლის ყეფა არ გამიგია. სიწყნარე და სიმშვიდეა. თელ ავივიც ძალიან ლამაზი ქალაქი ყოფილა, „მაკაბი“ კი ისრაელში ყველაზე ტიტულოვანი გუნდია.

**— თუმცა ახალი გუნდის ძირითადში ჯერ არ გითამაშია...**

— ორჯერ შეცვლაზე შევედი. ოთხშაბათს კი სათასო მატჩი გვაქვს და მგონია, რომ ძირითადში ვიქნები.

**— ძირითადში მოხვედრის პრობლემა რეალურად გაქვს?**

— პრობლემა არ მაქვს და სათადარიგო ფეხბურთელად „მაკაბიში“ არც დამიძახებდნენ. საქმე ისაა, რომ ისრაელში მოუმზადებელი ჩამოვედი, აქ კი ჩემპიონატი დაწყებული იყო. ტრავმა მქონდა, მუხლი მაწუხებდა და „მაკაბიში“ მოსვლამდე მთელი დატვირთვით არც მივარჯიშია.

**— კი მაგრამ, „მაკაბიში“ წასვლამდე ანთალიაში „ალანიასთან“ ერთად არ იყავი?**

— ვიყავი, მაგრამ დატვირთვებს ვერიდებოდი და სულ სამ-ოთხჯერ ვივარჯიშე. ვფიქრობდი, რომ საოპერაციო ვიყავი, მაგრამ სერიოზული არაფერი ყოფილა.

**— გამოდის, „მაკაბისთან“ კონტრაქტს ტრავმირებულმა მოაწერე ხელი?**

— ხომ გითხარი, სერიოზული არაფერი იყო. თელ ავივში რამდენჯერმე ინდივიდუალურად ვივარჯიშე და მერე უკვე გუნდს შევუერთდი.

**— ახლა მთელი დატვირთვით ვარჯიშობ?**

— უკვე შეცვლებზეც ვთამაშობ და მალე, ალბათ, ძირითადშიც ვიქნები. დაახლოებით ათი დღეც და, ძველებურ ფორმას ავიდგენ.

**— ისრაელში ფეხბურთის ისეთი დონეა, რომელიც გაკმაყოფილებს?**

— აქ ევროპული დონის ოთხი გუნდია, დანარჩენები კი ნელ-ნელა ძლიერდებიან. როგორც მითხრეს, ამ სეზონში სტადიონზე მაყურებელთა რაოდენობა გაორმაგდა, ტრიბუნები თითქმის სავსეა. ჰაიფას „მაკაბი“, „ბეითარი“, თელ ავივის „ჰაპოელი“ და ჩვენი გუნდი ისრაელში საუკეთესოებად ითვლებიან და, რა თქმა უნდა, სხვებზე მეტი ქომაგიც ჰყავთ.

**— ებრაელებთან ენის, ურთიერთობის პრობლემა არ გაქვს?**

— არანაირი. აქ ბევრი ქართველი და დაახლოებით მილიონი რუსია.

**— ქართველი ებრაელები გაიცანი?**

— გავიცანი, ისინი ჩემი ქომაგები არიან, აწი „მაკაბის“ თამაშს არ გავაცდენთო, შემპირდნენ. ისე კი, მათ ფეხბურთთან არაფერი აქვთ საერთო.

**— რუსებს?**

— მაგალითად, „ბეითარი“ რუსი მილიონერის — გაიდამაკის გუნდია, მწვრთნელი კი ლუის ფერნანდესია. როგორც გავიგე, რუსები კიდევ აპირებენ რამდენიმე გუნდის ყიდვას.

**— შენს „მაკაბის“ წლეულს რა მიზანი აქვს?**

— უეფას თასის საგზური უნდა მოვიპოვოთ და სამისოდ თასის აღება გვჭირდება. „მაკაბის“ ჩემპიონატის დაწყებამდე პრობლემები ჰქონდა და ჩემპიონობისთვის ბრძოლას ახლა ველარ დავიწყებთ. მომავალი სეზონიდან კი პატრონები გუნდის საფუძვლიანად გაძლიერებას აპირებენ და, შესაბამისად, უკეთეს შედეგს, ანუ ჩემპიონობას მოითხოვენ. ზედიზედ სამი წელი ისრაელის ჩემპიონი ჰაიფას „მაკაბია“.

**— კლუბის პატრონი ვინ არის?**

— ისრაელში ფირმა „სონის“ წარმომადგენლობა.

**— საქართველოს ნაკრებში გამოძახებული რომ ხარ, ალბათ, იცი...**

— კი, დღეს ვარჯიშზე მითხრეს. რა პრობლემაა, მალტაზე ვიქნები...

**კობა ინასარიძე**

## ამ ჭიქით... მარცვალაძე და დინამო იერუსალიმში ილოცეს

**ისრაელურ** შეკრებაზე მყოფ კიევის „დინამოს“ გუშინ დასვენების დღე ჰქონდა და მწვრთნელ-ფეხბურთელებმაც იერუსალიმის წმინდა ადგილების დასათვალიერებლად მოიცალეს. ოთარ მარცვალაძემ და კიეველებმა ეკლესიაში სანთლებიც დაანთეს და იერუსალიმის რუსულენოვან მოქალაქეებს ქუჩაში ავტოგრაფებიც ჩამოურიგეს. საღამო კი ერთ-ერთი რესტორანში ვახშმით დასრულდა, სადაც ფეხბურთელებმა მთავარ მწვრთნელ ანატოლი დემიანენკოს დაბადების დღე მიულოცეს. შეგირდები დამრიგებელს სამახსოვრო სუვენირიც აჩუქეს.

**კახა შალამბერიძე**



## გიორგი ლომაიამ ენერგია გაიფორმა

**აქამდე** უგუნდოდ მყოფმა გიორგი ლომაიამ უკვე ყველაფერი შეუთანხმა ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგიას“ და კონტრაქტიც გააფორმა. საქართველოს ნაკრების მეკარე გუშინ შეუერთდა ახალ გუნდს, რომელიც ახლა თურქეთში ემზადება საახალსეზონოდ.

შეგახსენებთ, რომ ლომაიამ „ხიმკი“ ჩემპიონატის დასრულებისთანავე დატოვა და აქამდე მოსკოვში ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობდა. ახალი გუნდი კი ჩვენებურს „ხიმკის“ ყოფილმა პრეზიდენტმა ანდრეი ჩერვიჩენკომ მოუძებნა, ვინც გიორგის აგენტია.

**კახა შალამბერიძე**

# ნახალოვკიდან მალიორკამდე

## თბილისის ქუჩებში ფეხბურთი ბრუნდება

**შარშან** შექმნილი საქართველოს ქუჩის ფეხბურთის ასოციაცია მარტიდან პირველი მასშტაბური პროექტის განხორციელებას იწყებს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გარდა მისი პარტნიორები განათლების, შინაგან საქმეთა და ჯანდაცვის სამინისტროები იქნებიან.

ფეხბურთის შედარებით სტაჟიან ქომაგებს კარგად ეხსომებათ „ტყავის ბურთის“ გათამაშება, რომელიც საბჭოთა კავშირის მასშტაბით ყოველწლიურად ტარდებოდა. მასში უბნის გუნდები მონაწილეობდნენ და ხშირად ეს ტურნირი მომავალი ვარსკვლავების პირველი ნაბიჯიც კი იყო ფეხბურთში. ახალი პროექტი დაახლოებით „ტყავის ბურთის“ ანალოგია, მაგრამ ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, ტურნირი სკოლის გუნდებს შორის გაიმართოს, რაც გააადვილებს საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას.

პირველ ეტაპზე თითოეული თბილისური სკოლის გუნდი რაიონულ გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას, მაისში კი ათი საუკეთესო სპორტის სასახლეში გაარკვევს ჩემპიონის ვინაობას. პირველი ეტაპის შეხვედრები დედაქალაქის მერიის მიერ მოწყობილ ხელოვნურსაფარიან და ასფალტიან მოედნებზე გაიმართება. ყოველ გუნდს განაცხადში 10 ფეხბურთელი უნდა ჰყავდეს, რომელთაგან ოთხი აუცილებლად 12 წლის უნდა იყოს, 3-3 კი 10 და 11 წლის. ტურნირის მონაწილე გუნდებს გენერალური სპონსორი „პეპსი“ შემოსავს, ბურთებით კი ფეხბურთის ფედერაცია მოამარაგებს. ფეხბურთის ფედერაცია მიავლენს შეხვედრებზე მსაჯებსაც.

რაც შეეხება პრიზებს: სამახსოვრო დიპლომს ტურნირში მონაწილე ყველა, დაახლოებით 2 000 ბავშვი მიიღებს. გამარჯვებულ სკოლას განათლების სამინისტრო საკუთარი ხარჯით ხელოვნურსაფარიან მინი-მოედანს აუშენებს, ჩემპიონი გუნდი კი ზაფხულში ქუჩის ფეხბურთის ასოციაციის დახმარებით საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრება. ასოციაციას უკვე აქვს შემოთავაზება იტალიური სარდინიიდან, ესპანური მალიორკადან და დანიიდან. ამას გარდა, გამორჩეულ მოთამაშეებს ორგანიზატორები საუკეთესო საფეხბურთო სკოლებში გაუწევენ რეკომენდაციას. 35-ე საფეხბურთო სკოლის დირექტორ არჩილ არველაძესთან შეთანხმება მიღწეულია და ერთი წლის განმავლობაში ეს ბავშვები გადასახადისგან გათავისუფლდებიან.

ეს ჩამონათვალი არასრულია და იმის კვალად გაიზრდება, კიდევ რომელი კომპანიები და ორგანიზაციები გამოთქვამენ სპონსორობის სურვილს. მსურველი კი, რა თქმა უნდა, მრავლად იქნება. თავად განსაჯეთ: ყოველ შაბათ-კვირას თბილისის მასშტაბით ასზე მეტი მატჩი გაიმართება, რომელსაც მონაწილეთა გარდა, ათასობით მათი თანასკოლელი, მასწავლებელი, ახლობელი დაესწრება.

ბუნებრივია, „პეპსის თასის“ (ტურნირის სავარაუდო სახელია) ერთ-ერთ მიზანს ტალანტების აღმოჩენა წარმოადგენს. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იქნება საფეხბურთო სკოლებისა და კლუბების წარმომადგენლების, სელექციონერთა აქტიურობა და დასწრება შეხვედრებზე. მარტივად რომ ვთქვათ, არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ორი თვის განმავლობაში პატარები ყოველ შაბათ-კვირას სპორტით იქნებიან დაკავებულნი.

ორგანიზატორთა განცხადებით, განათლების სამინისტრო ყველაზე აქტიურად არის ჩართული ამ პროექტში. მინისტრი კახა ლომაია ფეხბურთის მოყვარული კაცია და, როგორც ორგანიზატორებმა თქვეს, ერთგვარი აზარტითაც ელის ტურნირის დაწყებას.

ჯერჯერობით გრძელდება მუშაობა ტურნირის დებულებაზე, მიმდინარეობს კონსულტაციები პარტნიორებთან და სავარაუდო სპონსორებთან, თუმცა გადაწყვეტილია, რომ 11 ან 18 მარტს უკვე პირველი ტურის შეხვედრები გაიმართება.

პერსპექტივაში ტურნირმა უფრო ფართო მასშტაბი უნდა შეიძინოს და საქართველოს ყველა რეგიონი მოიცვას. ქუჩის ფეხბურთის ასოციაციას გადაწყვეტილი აქვს, ითანამშრომლოს უეფას ქუჩის ფეხბურთის („გრას რუტ“) პროგრამასთან, რაც გათამაშების ავტორიტეტს ერთიორად გაზრდის. უახლოეს მომავალში, როცა პროექტი ჩამოყალიბებულ სახეს მიიღებს, ქუჩის ფეხბურთის ასოციაცია პრეზენტაციასაც მოაწყობს.

**გიორგი ნოზაძე**



გურამ ცოფურაშვილის ფოტო



დღეს ტყუპების დაბადების დღეა — შოთა არველაძე ჰოლანდიის ჩემპიონატის ბომბარდირობისთვის იბრძვის, ხოლო არჩილი 35-ე საფეხბურთო სკოლის დირექტორია, რომლის კაბინეტი შეშის ღუმელით თბება, თუმცა სკოლაში ბევრი სასიკეთოც კეთდება.

...შოთაზე და არჩილზე თურქეთში სიმღერაც შეუთხზავთ, ტყუპებს ერთად თბილისის „დინამოშიც“ უთამაშიათ და ეროვნულ ნაკრებშიც. მათზე ბევრჯერ დაწერილა და თქმულა, მათ ბევრჯერ გაუხარებიათ ქართველი გულშემატკივარი.

...აჩიკოს და შოთას დღეს 33 წელი შეუსრულდათ, ამ 33-მა წელმა მათ წარმატებების გარდა ბევრი ტკივილი, განბილება და ბრძოლა გადაატანინა. შოთააჩის ყოველთვის ჰქონდათ განსაკუთრებული ხელწერა როგორც ფეხბურთში, ისე ცხოვრებაში...

ტყუპურ ამბებზე აჩიკოს ვესაუბრეთ...

# ტყუპები 33 წლის შემდეგ

## ჩვენ ყოველთვის მაქსიმალისტები ვიყავით

**— ამბობენ, რომ ტყუპებს ერთმანეთის განცდების წაკითხვა შეუძლიათ — ეს ყველაზე უფრო როდისაა გამძაფრებული?**

— ტყუპური განცდები სულ გამძაფრებულია, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ განცდა ტკივილთან ან ავადმყოფობასთანაა დაკავშირებული. მარტო მე და შოთას კი არა, ყველა ტყუპს შეუძლია, ერთმანეთის განცდები იგუმანოს.

**— ფეხბურთის თამაშის დროსაც გუმანობდით ერთმანეთის აზრებს და გადაწყვეტილებებს?**

— რა თქმა უნდა და ამაზე მაგარი რამ ფეხბურთში არ არსებობს. ამის წყალობით ერთმანეთის ძალიან კარგად გვესმოდა მოედანზე.

**— ტრავმიანობამ ძალიან გაგაწვალა — როგორ გეხმარებოდა ასეთ დროს ტყუპისცალი?**

— როცა შოთა კარგად თამაშობდა, ეს ძალიან მეხმარებოდა ტრავმის დაძლევაში, თითქოს მეც ვთამაშობდი და არაფერი მეკარგებოდა.

**— უკვე ორ წელზე მეტია, ფეხბურთელობას შეეშვი — ფეხბურთელ ტყუპისცალს როგორ ეხმარები?**

— შოთას თამაშის დღეს ეკლესიაში მივდივარ და სანთელს ვანთებ, თუ უცხოეთში ვარ, მაშინ სახლში ვანთებ სანთელს.

**— შოთასი არასდროს გშურდა?**

— მას 200 გოლი შეეგდოს და მე 20, ასეთი არასდროს ყოფილა, წარმატებების მხრივ ბავშვობიდან სულ გვერდი-გვერდ ვიყავით. იყო გამონაკლისებიც — შოთა თურქეთის და ჰოლანდიის ჩემპიონატების ბომბარდირი გახდა. სტატისტიკის დამარცხება შეუძლებელია, თამაშით კი ტყუპისცალს არასდროს ჩამოვრჩებოდი.

**— ფაქტია, შოთა შენზე უფრო იღბლიანი გამოდგა საფეხბურთო კარიერაში...**

— მთლად ასე ვერ ვიტყვი. შოთამ სამი ოპერაცია გაიკეთა, მე ხუთი და ძალიან რთული ოპერაციები, თანაც ფეხბურთელისთვის უალრესად საკვანძო ასაკში — 16, 19, 23, 26 და 29 წლის რომ ვიყავი, მაშინ. მიუხედავად ასეთი ტრავმიანობისა, მაინც მოვახერხე ფეხბურთის თამაში და ვფიქრობ, ჩემს თაობაში ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელიც ვიყავი.

**— რომელია შენი და შოთას ერთად ნათამაშევი საუკეთესო მატჩი?**

— ასეთი რამდენიმე იყო „დინამოში“ და „ტრაბზონსფორში“. ნაკრებში გამოვარჩევდი ნულოვან ფრეს იტალიასთან, ისრაელთან 3:2 მოგებულ ამხანაგურ მატჩს, პოლონეთთან 3:0 გამარჯვებას — ამ შეხვედრებში ორივემ კარგად ვითამაშეთ, მაგრამ მე უკეთესად.

**— უფროსი ძმა რეზო როგორ „ითქვიფებოდა“ ტყუპებში?**

— რეზი ჩვენ ყოველთვის გვპატრონობდა და ახლაც ასეა, თუმც ასაკის მატებასთან ერთად მზრუნველობის დოზა კლებულობს. მაგრამ ახლაც, როცა სერიოზულ საკითხებს ვწყვეტთ მე და შოთა, ეს რეზის გარეშე არ ხდება.

**— რა არის ტყუპების, როგორც ფეხბურთელების მთავარი ღირსება?**

— ხასიათი. ბავშვობიდან ჩვენთვის ფეხბურთის გარდა სხვა არაფერი არსებობდა, ოცნება ფეხბურთით იწყებოდა და მთავრდებოდა. ვოცნებობდით, ვყოფილიყავით ყველაზე მაგარი ფეხბურთელები. ჩვენი აღმზრდელი ჯემალ ჩიმაკაძე თავში სულ იმას გვიდებდა, საუკეთესოები ხართო, მაგრამ ცხვირის მაღლა აწევის უფლებასაც არ გვაძლევდა, პატარას წაგვითაქებდა და გვეტყოდა, ჯობია, ეს მე გავაკეთო, ვიდრე ცხოვრებამ გაგიკეთოთო. მშობლებისგანაც ყველანაირად პრივილეგირებულები ვიყავით, ფეხბურთელები რომ გამოვსულიყავით. არც ერთ ქართულ გუნდში თამაშზე არ გვიფიქრია თბილისის „დინამოს“ გარდა. არც „ტრაბზონსფორზე“ და „ბრედაზე“ გვიოცნებია, მხოლოდ „რეალზე“, „ბარსელონაზე“, „აიაქსზე“ და სხვა დიდ გუნდებზე. ბავშვობაში ვოცნებობდით საბჭოთა კავშირის ნაკრებში თამაშზე და ასეთი ოცნება, ფაქტობრივად, ავისრულე — საქართველოს ნაკრებში ვითამაშე და გოლებიც გავიტანე. მე და შოთა ყოველთვის მაქსიმალისტები ვიყავით.

**დავით თავართქილაძე**

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

# ლიტვის სატირანო ექსპერიმენტი

**1 მარტს** ლიტვის ნაკრები ტირანაში ალბანეთთან გამართავს ამხანაგურ მატჩს. ევრო-2008-ის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქე ტირანაში 21 ფეხბურთელით ჩავა, მათ შორის არ იქნება შოტლანდიური „ჰართსის“ ტრავმირებული ფორვარდი ედგარას იანკაუსკასი.

ერთი სიტყვით, ლიტველთა თავკაც ალგიმანტას ლიუბინსკასის სია ასეთია:

***მეკარეები:*** *პაულიუს გრიბაუსკასი (ეკრანასი), მინდაუგას მალინაუსკასი (ჟალგირისი);*

***მცველები:*** *გედიმინას პაულაუსკასი, შარუნას კლიმავიჩიუსი (ორივე ეკრანასი), მარიუს სტანკევიჩიუსი (ბრეშა, იტალია), ანდრიუს სკერლა (ტომი, რუსეთი), როლანდას ჯიაუკშტასი (სატურნი, რუსეთი), დარიუს ჟუტაუტასი (უგუნდოდ);*

***ნახევარმცველები:*** *გედრიუს ტომკევიჩიუსი, მანტას სავენასი (ორივე ეკრანასი), საულიუს მიკოლაიუნასი, დეივიდას ჩესნაუსკისი (ორივე ჰართსი, შოტლანდია), დარიუს მიცეიკა (ვენტსპილსი, ლატვია), მინდაუგას კალონასი (მეტალურგსი, ლატვია), ვირმანტას ლემეჟისი (ჟალგირისი);*

***თავდამსხმელები:*** *რობერტას პოშკუსი (ზენიტი, რუსეთი), ტომას დანილევიჩიუსი (აველინო, იტალია), ტომას რაძინევიჩიუსი (ლიბერტო, ჩეხეთი), ვიტალის კაველიუსკასი, პოვილას ლუკშისი (ორივე ეკრანასი), ლინას პილიბაიტისი (კაუნასი).*

# ჩივილი ძველი ტკივილის გამო

## მარსელი მარსელისდროინდელ სამართალს ითხოვს



„ᲐᲚᲐᲠ ᲕᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑ“ გახლავთ სახელწოდება ერთი კვირის წინ გამოსული წიგნისა, რომლის ავტორს ჟან-ჟაკ ეიდელის საფრანგეთის ნაკრების ყოფილი დიდი ვარსკვლავი მარსელ დესაი სასამართლოში უჩივის.

კონფლიქტის ისტორია „სარბიელის“ მკითხველთათვის ნაცნობია: ეიდელი 90-იანი წლების დასაწყისში დესაისთან, დიდიე დეშანთან და სხვა ცნობილ ფეხბურთელებთან ერთად „მარსელში“ თამაშობდა. ამ გუნდმა ზედიზედ ოთხჯერ მოიგო საფრანგეთის ჩემპიონის ტიტული, 1993 წელს კი ჩემპიონთა ლიგაშიც გაიმარჯვა, მაგრამ იმავე პერიოდში გახმაურდა, რომ „მარსელმა“ ლიგის ფინალის წინ „ვალანსიენის“ წინააღმდეგ საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩი ჩააწყო და ამის გამო ქვედა დივიზიონში ჩაუძახეს. დააპატიმრეს „მარსელის“ მაშინდელი პრეზიდენტი, ბიზნესმენი და პოლიტიკოსი ბერნარ ტაპიც, მაგრამ შემდეგ ცხოვრება თავისი გეზით წავიდა და ეს უსიამოვნო ისტორიაც დავიწყებას მიეცა.

და აი, იმ ამბებიდან ცამეტი წლის შემდეგ ეიდელიმ, რომელიც „ვალანსიენის“ მხარისთვის ქრთამის უშუალოდ მიცემაში გახლდათ მხილებული, წიგნი დაწერა, სადაც ბევრ სკანდალურ ეპიზოდს მოუყარა თავი. ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდი გახლავთ ის, რომ, მისი მტკიცებით, „ვალანსიენის“ მოქრთამვის სურვილი ტაპიმ მის გარდა დეშანსა და დესაისაც გააცნო და მეტიც, იმ გუნდში ნაცნობების გამოძებნა დაავალა.

რამდენიმე დღის წინ მოგახსენეთ, რომ დეშანმა ყოფილ თანაგუნდელს უკვე უჩივლა, ახლა კი მეგობარს დესაიმაც მიბაძა.

**ᲞᲐᲞᲣᲜᲐ ᲫᲔᲓᲘᲐ**

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XXII ტური

ალემანია 0:0 კოტბუსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოხუმი | 22 | 13 | 6 | 3 | 38:18 | 45 |
| ალემანია | 21 | 12 | 3 | 6 | 38:23 | 39 |
| კარლსრუე | 22 | 10 | 6 | 6 | 32:25 | 36 |
| პადერბორნი | 22 | 10 | 5 | 7 | 34:19 | 35 |
| ფიურტი | 21 | 10 | 5 | 6 | 34:28 | 35 |
| ფრაიბურგი | 22 | 10 | 5 | 7 | 29:24 | 35 |
| კოტბუსი | 21 | 9 | 6 | 6 | 31:24 | 33 |
| ბურგჰაუზენი | 22 | 8 | 8 | 6 | 27:30 | 32 |
| უნტერჰახინგი | 22 | 9 | 4 | 9 | 31:28 | 31 |
| მიუნხენი | 22 | 8 | 7 | 7 | 30:28 | 31 |
| ბრაუნშვაიგი | 20 | 9 | 3 | 8 | 22:20 | 30 |
| ჰანზა | 20 | 8 | 4 | 8 | 28:28 | 28 |
| აუე | 22 | 7 | 7 | 8 | 20:23 | 28 |
| ზიგენი | 21 | 5 | 5 | 11 | 22:29 | 20 |
| ზაარბრიუკენი | 21 | 5 | 4 | 12 | 21:41 | 19 |
| ოფენბახი | 21 | 5 | 3 | 13 | 20:43 | 18 |
| დინამო | 19 | 4 | 4 | 11 | 21:32 | 16 |
| ალენი | 21 | 3 | 7 | 11 | 20:35 | 16 |

### საბერძნეთი

ეროვნული ლიგა. XX ტური

კალამარია 2:0 ირაკლისი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 20 | 18 | 0 | 2 | 44:12 | 54 |
| აეკ | 20 | 14 | 3 | 3 | 26:15 | 45 |
| პანათინაიკოსი | 20 | 13 | 3 | 4 | 35:17 | 42 |
| ქსანთი | 20 | 9 | 5 | 6 | 23:17 | 32 |
| ირაკლისი | 20 | 9 | 4 | 7 | 23:20 | 31 |
| პაოკ | 20 | 8 | 6 | 6 | 29:20 | 30 |
| ეგალეო | 20 | 7 | 7 | 6 | 17:20 | 28 |
| იონიკოსი | 20 | 6 | 8 | 6 | 27:26 | 26 |
| ატრომიტოსი | 20 | 7 | 5 | 8 | 21:21 | 26 |
| ლარისა | 20 | 7 | 5 | 8 | 22:25 | 26 |
| კალამარია | 20 | 7 | 5 | 8 | 21:25 | 26 |
| ლევადიაკოსი | 20 | 4 | 6 | 10 | 12:22 | 18 |
| ოფი | 20 | 3 | 8 | 9 | 11:23 | 17 |
| პანიონიოსი | 20 | 4 | 4 | 12 | 17:33 | 16 |
| კალითეა | 20 | 2 | 7 | 11 | 16:30 | 13 |
| აკრატიტოსი | 20 | 2 | 4 | 14 | 11:29 | 10 |

### ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. XVII ტური

ტეპლიცე 2:1 პრჟიბრამი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 17 | 11 | 5 | 1 | 28:12 | 38 |
| ტეპლიცე | 17 | 9 | 6 | 2 | 22:12 | 33 |
| სლავია | 17 | 8 | 6 | 3 | 31:19 | 30 |
| პრჟიბრამი | 17 | 6 | 6 | 5 | 24:19 | 24 |
| იაბლონეცი | 17 | 7 | 3 | 7 | 24:21 | 24 |
| ბოლესლავი | 15 | 7 | 3 | 5 | 24:23 | 24 |
| სიგმა | 16 | 7 | 2 | 7 | 22:25 | 23 |
| ზლინი | 17 | 6 | 4 | 7 | 16:18 | 22 |
| პლზენი | 16 | 5 | 5 | 6 | 17:18 | 20 |
| სპარტა | 17 | 6 | 2 | 9 | 27:29 | 20 |
| ბანიკი | 16 | 5 | 5 | 6 | 15:17 | 20 |
| სლოვაცკო | 17 | 4 | 7 | 6 | 17:19 | 19 |
| იჰლავა | 16 | 4 | 6 | 6 | 12:20 | 18 |
| ბრნო | 17 | 3 | 7 | 7 | 17:21 | 16 |
| ბლშანი | 16 | 3 | 6 | 7 | 14:27 | 15 |
| მოსტი | 16 | 4 | 1 | 11 | 14:24 | 13 |

### პორტუგალია

სუპერლიგა. XXIII ტური

ლეირია 0:2 სეტუბალი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 23 | 15 | 6 | 2 | 35:13 | 51 |
| სპორტინგი | 23 | 14 | 4 | 5 | 36:22 | 46 |
| ბრაგა | 23 | 13 | 5 | 5 | 24:13 | 44 |
| ბენფიკა | 23 | 13 | 4 | 6 | 37:21 | 43 |
| ნასიონალი | 23 | 12 | 6 | 5 | 29:17 | 42 |
| ბოავიშტა | 23 | 11 | 8 | 4 | 33:20 | 41 |
| სეტუბალი | 23 | 11 | 3 | 9 | 19:18 | 36 |
| ლეირია | 23 | 9 | 4 | 10 | 31:32 | 31 |
| ბელენენსეში | 23 | 8 | 4 | 11 | 28:27 | 28 |
| მარიტიმუ | 23 | 6 | 9 | 8 | 27:27 | 27 |
| ჟილ ვისენტე | 23 | 8 | 3 | 12 | 26:29 | 27 |
| ამადორა | 23 | 7 | 6 | 10 | 19:23 | 27 |
| რიუ ავე | 23 | 6 | 8 | 9 | 25:30 | 26 |
| აკადემიკა | 23 | 7 | 5 | 11 | 23:32 | 26 |
| ფერეირა | 23 | 7 | 4 | 12 | 22:34 | 25 |
| გიმარაეში | 23 | 6 | 5 | 12 | 15:29 | 23 |
| ნავალი | 23 | 6 | 3 | 14 | 21:33 | 21 |
| პენაფიელი | 23 | 2 | 5 | 16 | 16:46 | 11 |

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80



# დინოზავრის ნაკვალევი

## არ გეწყინოთ, ძმებო...

„ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ჩემპიონატის ფინალში გერმანია და ბრაზილია გავლენ, თამაში ფრედ, 4:4 დამთავრდება, პენალტების სერიაზე კი ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან ჩემი ნერვები ამდენს ვერ გაუძლებს და ტელევიზორს გამოვრთავ“ — აბა, გამოიცანით, რა მოიტყუა ამ სიტყვების ავტორმა?

ნუ, თეორიულად შესაძლებელია, რომ მან ბევრი რამ მოიტყუა, უფრო სწორად კი, ვერ გამოიცნო. ბრაზილიისა და გერმანიის ნაკრებების ქართველ ქომაგებთან ბოდიში და, თეორიულად შესაძლოა, ფინალში სულ სხვა გუნდები გავიდნენ, მაგალითად, უკრაინა და კოტ დივუარი, თამაში 9:7 დამთავრდეს და მრავალი სხვა, მაგრამ ის, რომ ამ სიტყვების ავტორი სტადიონზე იქნება და ვერანაირ ტელევიზორს ვერ გამორთავს, ფაქტია, რადგან ის მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე გახლავთ, სახელად ფრანცი ჰქვია, გვარად კი ბეკენბაუერია.

სიტყვები, რომლებმაც ასე გაგვამხიარულა, კაიზერმა ბრაზილიაში სტუმრობისას წარმოთქვა. იგი რიოში გახლდათ მიპატიჟებული, სადაც ცნობილი „მარაკანას“ წინ ფეხი დადგა ანუ დიდების კვალი დატოვა და შემდეგ მასპინძლებს ერთიმეორეზე კარგი სიტყვები უთხრა. სხვათა შორის, ბეკენბაუერმა რიოში ყოფნისას ისიც თქვა, თუ მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის მასპინძლობას ბრაზილიას უბოძებენ, ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას არ დავიშურებ, მხარში ვაჟკაცურად ამოგიდგებით და რითაც შემეძლება, ხელს შეგიწყობთო.

**ᲞᲐᲞᲣᲜᲐ ᲫᲔᲓᲘᲐ**

# დავით ბატონო, თქვენ მთლად...

## სიმენს ქალიც უვარდება ხელიდან

ᲓᲔᲕᲘᲓ ᲡᲘᲛᲔᲜᲘ ყოველთვისაც წაუცნაურო ვინმე იყო. ინგლისის ნაკრების და „არსენალის“ მეკარე ბარე ოც წელიწადს მაგრად იდგა კარში, თუმცა, ჩაკიდული ბურთების გაშვებითაც გაითქვა სახელი.

ორმოცს გადაცილებული სიმენი ბოლოსდაბოლოს კარიდან გავიდა და... ფიგურულ სრიალში ჩაბმა მოისურვა. ჩაება კიდეც: საქმე აითვისა და შოუში მოეწყო. თუმცა, როგორც ადრე ჩაკიდულ ბურთებს ვერა სწვდებოდა, ისე ახლა მეწყვილე გოგო გაუვარდა ხელიდან.

25 წლის პემ ოკონორმა ნიკაპი დაილეწა და მხარი და ფეხი მოიტეხა.

ამასობაში კი, თურმე სიმენს რიგი უდგას, საბრალო პემის შემცვლელზე, რომელიც სიმენს ადრეც გავარდნია ხელიდან.

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲔ**



# ალბიონური ცარცის წრე

## ჩელსიმ საბავშვო ბაღი გახსნა



ჯონ ობი მიკელი

„ᲩᲔᲚᲡᲘᲡ“ თავმჯდომარემ ბრუს ბაკმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მალე მისი კლუბი ნიჭიერ ნიგერიელს, ჯონ ობი მიკელს გაუფორმებს კონტრაქტს.

ეს ობი ის ბიჭია, რომელმაც აქამდე „მანჩესტერს“ გაუფორმა კონტრაქტი როგორც ოსლოს „ლინის“ მოთამაშემ და მერე იუარა. „მანჩესტერმა“ ამაში რაღაც მაფიოზური დაინახა, „ჩელსის“ შავმა ძალებმა აიძულესო. საქმეში მუქარის წერილებიც კი გამოჩნდა. ახლა კი, თითქმის ყველაფერი წესრიგშია და „ჩელსიმ“ „მანჩესტერს“ აჯობა, რომელმაც ჯერაც უწლოვან ბიჭს ნაჩქარევად და საჭირო უფროსთა თანდაუსწრებლად მოაწერინა ხელი კონტრაქტზე. სავარაუდოა, რომ „მანჩესტერი“ ბოლომდე მიაწვება საქმეს და ეგებ უეფამდეც კი მივიდეს.

„ჩელსი“ კი სხვა თინეიჯერსაც უმიზნებს, ამერიკულ „დისი იუნაიტედში“ მოთამაშე ფრედი ედუს.

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები. დღეს

## ჩელსი (ინგლისი) – ბარსელონა (ესპანეთი)



შარშანდელი „ჩელსი“ — „ბარსელონა“ 4:2. დემიენ დაფი პირველ გოლს ზეიმობს

| ჩელსის ბოლო ათი მატჩი | | |
|---|---|---|
| ჩელსი — კოლჩესტერი | 3:1 | ათ |
| მიდლსბრო — ჩელსი | 3:0 | პლ |
| ჩელსი — ევერტონი | 4:1 | ათ |
| ჩელსი — ლივერპული | 2:0 | პლ |
| ასტონ ვილა — ჩელსი | 1:1 | პლ |
| ევერტონი — ჩელსი | 1:1 | ათ |
| ჩელსი — ჩარლტონი | 1:1 | პლ |
| სანდერლენდი — ჩელსი | 1:2 | პლ |
| ჩელსი — ჰადერსფილდი | 2:1 | ათ |
| ვესტ ჰემი — ჩელსი | 1:3 | პლ |

პლ — პრემიერლიგა, ათ — ასოციაციის თასი

VS

| ბარსელონას ბოლო ათი მატჩი | | |
|---|---|---|
| ბარსელონა — ბეტისი | 5:1 | პდ |
| ვალენსია — ბარსელონა | 1:0 | პდ |
| ბარსელონა — ატლეტიკო | 1:3 | პდ |
| ბარსელონა — სარაგოსა | 2:1 | ეთ |
| მალიორკა — ბარსელონა | 0:3 | პდ |
| სარაგოსა — ბარსელონა | 4:2 | ეთ |
| ბარსელონა — ალავესი | 2:0 | პდ |
| ბარსელონა — ბილბაო | 2:1 | პდ |
| ბარსელონა — ზამორა | 6:0 | ეთ |
| ესპანიოლი — ბარსელონა | 1:2 | პდ |

პდ — პრიმერადივიზიონი, ეთ — ესპანეთის თასი

# დეკოსთვის ჩელსი დეკორაციაა

**როცა** ლონდონში ჩასულ დეკოს ჟურნალისტებმა უთხრეს, „ბარსა“ „ჩელსიზე“ შარშანდლის გამო ალბათ შურისძიებას გეგმავს და თქვენც „სტემფორდ ბრიჯზე“ გააფთრებით იბრძოლებთო, პორტუგალიელმა სიცილით თქვა: „არავითარ შურისძიებაზე ჩვენ არ ვფიქრობთ, „ბარსელონას“ ჩემპიონთა ლიგის მოგება უნდა და „ჩელსი“ პარიზის ფინალისკენ მიმავალ გზაზე ერთ-ერთი დაბრკოლებაა. თასის მოსაპოვებლად ჯერ მაურინიუს გუნდის დამარცხებაა საჭირო“.

დღეს „სტემფორდ ბრიჯზე“ დიდსაფეხბურთო ევროპის უძლიერესთა ჯახი იქნება — მაურინიუს უძლეველი „ჩელსი“ ფრანკ რაიკარდის ბრწყინვალე „ბარსელონას“ უმასპინძლებს. თუ ამ გუნდთა შარშანდელი შეხლის პერიპეტიებს გავიხსენებთ, ლონდონელთა და კატალონიელთა ომის გადმოსაცემად კარგა მოზრდილი წიგნის დაწერა დაგვჭირდება. ამიტომაც ნუღარ ვილაპარაკებთ წარსულზე და ვთქვათ მხოლოდ ის, რომ „ჩელსიმ“ „ბარსა“ 2004-05-ის ლიგაში სწორედ მერვედფინალიდან გამოაგდო და მედიასაც ბარსელონელებთან შეხვედრისას სულ რევანში აკერია პირზე. სადღეისოდ ასეა — ლუდოვიკ ჟიული ტრავმირებულია და მის მაგივრად არგენტინელი ლეო მესი ითამაშებს. ერთი წლის წინ მესი ამ ტიტანთა ჯახს ოდენ ტელევიზორით უცქერდა, ახლა კი მოედანზე გავა. მაურინიუს უკანასკნელებს პაწაწა ლეოს გარდა კიდევ ორი ტარტაროზის დაჭერა მოუწევთ — „ბარსა“ ხომ თავდასხმაში რონალდინიოს, მესის და სამუელ ეტოოს სამეულს გამოიყვანს. ეტოოს საამსეზონოდ „სულ“ 21 გოლი გაუტანია (18 პრიმერადივიზიონში და 3 ლიგაზე), რონალდინიომ მეტოქეთა კარი 18-ჯერ შელეწა (12-ჯერ პრიმერაში, 5 ევროპაზე და 1 კოპა დელ რეიზე), მესიმ კი 8 გაიტანა (6 პრიმერაში და თითო-თითო თასზე და ლიგაზე). „ჩელსისთან“ ითამაშებენ სანქციამოხსნილი მექსიკელი რაფა მარკესი და ბასკი სანტი ეზკერო. გაბრი და მაქსი ლოპესი კი შინ რჩებიან. ასევე არ იქნება ხავიც, ვისაც სერიოზული ტრავმა აწუხებს. ლონდონელთა მხრიდან კი უილიამ გალასის ბურთაობაა საეჭვო — ფრანგს მუხლი ჯერაც არ მორჩენია. ამიტომ, სავარაუდოდ, „ბარსელონასთან“ ექსბილბაოელი ასიერ დელ ორნო გამოვა. „ჩელსის“ ლონდონში ბეჭებზე გაკვრა კი შეუძლებელი თუ არა, ძალიან ძნელია: ჟოზე მაურინიომ „სტემფორდ ბრიჯზე“ მწვრთნელად მოსვლიდან (2004-ის ზაფხული) ლონდონში 49 ოფიციალური მატჩი ჩაატარა, აქედან „ჩელსიმ“ 38 მოიგო და 11 ფრედ დაამთავრა. ასე რომ, დღეს სეუ ჟოზე 50-ე საიუბილეო შინაურ ომს გადაიხდის და ნაკლებად სავარაუდოა, შეგირდებმა მწვრთნელს იუბილე ჩაუშხამონ. რაც შეეხება „ჩელსი“ — „ბარსას“ ძველ შეხვედრებს, 1965-66-ის ბაზრობათა თასზე კატალონიელებმა ინგლისში 0:2 წააგეს, 1999-2000-ის ლიგის მეოთხედფინალში 1:3 და ის შარშანდელი 2:4 ხომ „ბარსელონას“ ქომაგისთვის ღია ჭრილობად რჩება.

კატალონიური გაზეთების ცნობით, „ჩელსის“ მოედნის საფარი საშინელ მდგომარეობაშია (ვითომც მაურინიუმ მომსახურე პერსონალს უბრძანა, მინდვრისთვის არ მიეხედათ — „ბარსას“ ჯადოქრებს აჩალახებულ მოედანზე ბურთაობა გაუჭირდებათო). თუმცა ინგლისური კლუბის მაღალჩინოსანმა ბრუს ბაკმა ჟურნალისტებს განუცხადა, მსგავსი ბრძანება არ გაგვიცია, ჩვენ არიენ რობენი, დაფი, ჯო კოული და შონ რაიტ ფილიპსი გვყავს და წამხდარ მოედანზე საქმეს ხომ „ჩელსის“ ბიჭებსაც გავურთულებთო... ბოლოს ერთიც აღვნიშნოთ — „ბარსელონასთვის“ ეს მატჩი რიგით მეოთხასე საევროტურნირო გახლავთ. კატალონიური გრანდი ამ მაჩვენებლით პირველია ევროპაში, მეორეზე კი „ბარსას“ მოსისხლე „რეალი“ მოდის.

**ლადო ხომერიკი**

## რეინჯერსი (შოტლანდია) – ვილიარეალი (ესპანეთი)

# წითურა შოტლანდიელის გუდასტვირი და ესპანელების რიკელმე

| რეინჯერსის ბოლო ათი მატჩი | | |
|---|---|---|
| რეინჯერსი — ჰიბერნიანი | 2:0 | პლ |
| რეინჯერსი — სელტიკი | 0:1 | პლ |
| აბერდინი — რეინჯერსი | 2:0 | პლ |
| რეინჯერსი — ჰიბერნიანი | 0:3 | ათ |
| ინვერნესი — რეინჯერსი | 2:3 | პლ |
| რეინჯერსი — ლივინგსტონი | 4:1 | პლ |
| მოზერველი — რეინჯერსი | 0:1 | პლ |
| რეინჯერსი — პიტერჰედი | 5:0 | ათ |
| რეინჯერსი — დანდი იუნ. | 3:0 | პლ |
| დანფერმლაინი — რეინჯერსი | 3:3 | პლ |

პლ — პრემიერლიგა, ათ — ასოციაციის თასი

VS

| ვილიარეალის ბოლო ათი მატჩი | | |
|---|---|---|
| ვილიარეალი — ესპანიოლი | 4:0 | პდ |
| სელტა — ვილიარეალი | 1:0 | პდ |
| ვილიარეალი — კადისი | 1:1 | პდ |
| სევილია — ვილიარეალი | 2:0 | პდ |
| ვილიარეალი — ოსასუნა | 2:1 | პდ |
| რასინგი — ვილიარეალი | 1:0 | პდ |
| ვალენსია — ვილიარეალი | 1:0 | ეთ |
| ვილიარეალი — რეალი | 0:0 | პდ |
| ვილიარეალი — ვალენსია | 0:2 | ეთ |
| მალაგა — ვილიარეალი | 0:0 | პდ |

პდ — პრიმერადივიზიონი, ეთ — ესპანეთის თასი



ხუან რომან რიკელმე

**ალექს მაკლიშის** „რეინჯერსის“ ერთადერთი მიღწევა მიმდინარე სეზონში ჩემპიონთა ლიგაში წარმატებული თამაშია. „ჩაფრებმა“ საშინაო ჩემპიონატში პირველობის შანსი დიდი ხანია, დაკარგეს, გამოეთიშნენ ქვეყნის თასსაც, თუმც „რეინჯერსი“ გახდა პირველი შოტლანდიური კლუბი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი დაძლია. მაკლიშსაც სურს, რომ ეს წარმატება რაც შეიძლება, თვალსაჩინო გახადოს და ზაფხულში „აიბროქსი“ თავაწეულმა დატოვოს.

„ძალიან ცუდ სეზონს ვატარებთ და ყველას გვესმის, რომ ახლა მაქსიმუმი უნდა გავიღოთ, რათა შემდეგ ეტაპზე გავიდეთ. დანარჩენზე ფიქრი ჯერ არ ღირს, რვა საუკეთესოში მოხვედრაც წარმატება იქნება, მომავალ სეზონში კი, მჯერა, „რეინჯერსი“ ძველებურად ათამაშდება“ — იმედიანობს მაკლიში.

ამის მერე გლაზგოელთა თავკაცი მეტოქის შეფასებაზე გადავიდა. იგი თვლის, რომ პირინეელებზე ბევრი იცის, მას დახმარებისთვის სერ ალექს ფერგიუსონისთვისაც მიუმართავს, რომლის „მანჩესტერიც“ „ვილიარეალთან“ ერთად იყო ჯგუფში.

„შეიძლება, ჩვენ ევროტურნირების უფრო დიდი გამოცდილება გვაქვს, მაგრამ ეს განსაკუთრებულ უპირატესობას არ გვანიჭებს. „ვილიარეალი“ კარგად შევისწავლეთ, თუმც მთავარია, როგორ გამოვიყენებთ ამას. თამაშს მწვრთნელები არ იგებენ, ყველაფერი ფეხბურთელებზეა დამოკიდებული“ — დასძინა მაკლიშმა.

„რეინჯერსის“ ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ალბათ ხუან რომან რიკელმე იქნება. „ვილიარეალის“ გამთამაშებელმა ტრავმა მოიშუშა და განაცხადშიც მოხვდა. ექიმების თქმით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ იგი მინდორზე გავა.

ალექს მაკლიში: „რიკელმე მათი თილისმა და უდავო ლიდერია. ის აუცილებლად უნდა ამოვკეტოთ, მაგრამ ისიც ძალიან მნიშვნელოვანია, თავისუფლება არ მივცეთ სხვებს, როდესაც მას ბურთი ექნება — რიკელმეს შეუძლია, ერთი მოძრაობით გააკეთოს ხაგოლე პასი.“

ესპანელთა ბანაკში კი თურმე წარმატებაში დარწმუნებულნი ყოფილან. ეს შოტლანდიურ პრესას „ვილიარეალის“ ყოფილმა და „ლივერპულის“ ამჟამინდელმა მცველმა იან კრომკამპმა გაუმხილა:

„ფეხბურთელები ძალიან გახარებულნი იყვნენ, როდესაც წილისყრამ მათ „რეინჯერსი“ არგუნა. შესაძლო ვარიანტებიდან გლაზგოელებს ყველაზე სუსტებად თვლიდნენ. ვიცი, რომ „ვილიარეალი“ წარმატებაში დარწმუნებულია.“

„ვილიარეალის“ მთავარ მწვრთნელ მანუელ პელეგრინისაც მოვუსმინოთ: „გლაზგოში მოგებას ვაპირებთ. გოლის გატანა აუცილებლად უნდა მოვახერხოთ. დაცვაში დგომასა და „რეინჯერსის“ ლოდინს აზრი არ აქვს და ასე არც იქნება. შანსები გვექნება და მათი გამოყენებაა საჭირო. რიკელმე ფიზიკურად ბოლომდე მზად არ არის, რადგან 15 დღეა, არ უთამაშია, თუმცა მისი ძალა ტექნიკაშია და არა ფიზიკაში. ასე რომ, იგი ალბათ მინდორზე იქნება.“

**გიორგი კაკაბაძე**

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები. დღეს

## ვერდერი (გერმანია) – იუვენტუსი (იტალია)

# ხვიჩაგოჩაური პატრიკი და იონი

## მისცემს კლოზეს მხარი მხარს?




| ვერდერის ბოლო ათი მატჩი | | |
|---|---|---|
| დორტმუნდი — ვერდერი | 0:1 | ბლ |
| ვერდერი — ლაუტერნი | 0:2 | ბლ |
| შტუტგარტი — ვერდერი | 0:0 | ბლ |
| ვერდერი — მაინცი | 4:2 | ბლ |
| არმინია — ვერდერი | 0:1 | ბლ |
| ზტ. პაული — ვერდერი | 3:1 | გთ |
| ჰანოვერი — ვერდერი | 1:4 | გთ |
| ვერდერი — ჰამბურგი | 1:1 | ბლ |
| კიოლნი — ვერდერი | 1:4 | ბლ |
| ვერდერი — პანათინაიკოსი | 5:1 | ჩლ |

ბლ — ბუნდესლიგა, გთ — გერმანიის თასი, ჩლ — ჩემპიონთა ლიგა

VS

| იუვენტუსის ბოლო ათი მატჩი | | |
|---|---|---|
| მესინა — იუვენტუსი | 2:2 | სA |
| ინტერი — იუვენტუსი | 1:2 | სA |
| იუვენტუსი — პარმა | 1:1 | სA |
| იუვენტუსი — უდინეზე | 1:0 | სA |
| რომა — იუვენტუსი | 0:1 | ით |
| ასკოლი — იუვენტუსი | 1:3 | სA |
| იუვენტუსი — რომა | 2:3 | ით |
| იუვენტუსი — ემპოლი | 2:1 | სA |
| კიევო — იუვენტუსი | 1:1 | სA |
| იუვენტუსი — რეჯინა | 1:0 | სA |

სA — სერია A, ით — იტალიის თასი

**დავიწყოთ** მიროსლავ კლოზეთი, რომელმაც იანვარში, ბუნდესლიგის ერთ-ერთ შეხვედრაში მხარი იტკინა და აქამდე მკურნალობდა. ახლა კლოზე გამოჯანმრთელდა, ამ საღამოს „იუვენტუსთან“ თამაში შეუძლია, ოღონდ ათამაშებს თუ არა „ვერდერის“ მწვრთნელი თომას შააფი, არავინ იცის. შესაძლოა, ათამაშოს, ოღონდ თავიდან კი არა, ბოლოსკენ.

„მე ველი, რომ მწვრთნელი მათამაშებს — განაცხადა ბრემენელთა ფორვარდმა — მხარი აღარ მაწუხებს, ტკივილი უკვალოდ გაქრა“.

„კლოზეს საქმე უკეთესად მიდის. ახლა საინტერესო ისაა, გაუძლებს თუ არა მისი მხარი ყველა მიმართულებით ბრუნვასა და ყველანაირ გაჭიმვას“ — ეს სიტყვები თვით შააფმა ბრძანა.

შააფის ოპონენტ კოლეგას, „იუვენტუსის“ თავკაც ფაბიო კაპელოს კი დაცვის პრობლემები აწუხებს. საქმე ის გახლავთ, რომ მოლოდინი არ გამართლდა, ჯანლუკა ძამბროტამ გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო. საეჭვოა ჯონათან ძებინას ამბავიც. შესაბამისად, დონ ფაბიოს სხვადასხვა ვარიანტიდან უკეთესი აქვს ამოსაცნობი. მაგალითად, მას შეუძლია მარჯვნივ ვეტერანი ლილიან ტურამი გადაწიოს, ხოლო მის ადგილას, შუაში რობერტ კოვაჩი დაასაქმოს. შეიძლება სხვა ვარიანტიც: ტურამი შუაში დატოვოს, მარჯვენა მცველობა კი მანუელე ბლაზის დაავალოს... ხოლო ჯორჯო კიელინის, ალბათ, მარცხენა მხარეს ვიხილავთ.

სხვა მხრივ, კი საინტერესო იუვენტუსელი პატრიკ ვიეირასა და ვერდერელი იონ მიკუს დაპირისპირება იქნება. ეს დუელი ტაქტიკასა და ტექნიკასთან არაფერ შუაშია, უბრალოდ, სეირის ამბავია, რადგან, ჩვენი მამლუქებისა არ იყოს, არც ერთია ტურინელი და არც მეორე ბრემენელი, ორივე „კანის“ ბავშვთა სკოლის აღზრდილია და ბავშვობიდან გადაბმულად ძმაკაცობენ.

„თამაშამდე და თამაშის მერე ჩვეულებრივი ძმაკაცები ვიქნებით, მატჩის მსვლელობისას კი ჩვენ-ჩვენი საქმე გვექნება გასაკეთებელი. მიკუ შემტევი ნახევარმცველია, რომელიც სულ წინ მოიწევს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თამაშის განმავლობაში ხშირად გადავეყრებით ერთმანეთს, რაც ჩემთვის ფრიად საინტერესოა“ — განაცხადა ვიეირამ, რომელმაც ისიც დასძინა, რომ პირველი თამაშის მასპინძლობა და სტუმრობა არაფერს ნიშნავს:

„შეჯიბრების ამ ეტაპზე შინ და სტუმრად თამაშს მნიშვნელობა არ აქვს. ცხადია, გოლის გატანა დიდებული იქნება, მაგრამ დიდი სიფრთხილეც გვმართებს, რადგან „ვერდერი“ ძალიან ძლიერია, განსაკუთრებით თავდასხმაში. „ლივერპულის“ შარშანდელმა მაგალითმა ყველას დაგვანახა, რომ ჩემპიონთა ლიგამ ფავორიტები და აუტსაიდერები არ იცის. შესაძლოა, ესა თუ ის გუნდი საუკეთესო ფეხბურთს არ თამაშობდეს, მაგრამ ფეხბურთელთა ერთსულოვნებამ დიდი შედეგი მოიტანოს. ამიტომაც მიმაჩნია, რომ მიმდინარე შეჯიბრებაში გამარჯვება უკლებლივ ყველა მერვედფინალისტს შეუძლია“.

**პაპუნა ძიძია**

## აიაქსი (ჰოლანდია) – ინტერი (იტალია)

# დამეხმარეთ!

## ადრიანო იტალიაში დაკარგულს ჰოლანდიაში ეძებს



**მილანის** „ინტერის“ ფორვარდ ადრიანოს უიღბლო წელი დაუდგა. იანვარ-თებერვალში ორ გოლზე მეტი ვერ გაიტანა და „შავ-ლურჯები“, რომლებიც „იუვენტუსის“ დაწევა-გადასწრებაზე ოცნებობდნენ, სერია A-ში მეორედან მესამე ადგილზე ჩაქვეითდნენ.

დღეს „ინტერი“ ამსტერდამში „აიაქსს“ სტუმრობს, ბრაზილიელი კი უიღბლო სერიის შეწყვეტაზე ფიქრობს.

„სამწუხაროდ, ეს ორი თვე ჩემთვის ძალიან ცუდი გამოდგა — თქვა ადრიანომ — ვერ ვასრულებ იმას, რაც მევალება. არადა, ფორვარდის საქმე გოლია. ახლა თავს ფიზიკურად უკეთ ვგრძნობ. სიმშვიდე და თანაგუნდელების დახმარება მჭირდება, რათა ფორმაში ჩავდგე. ვიმედოვნებ, რომ მალე გოლის გემოს გავიხსენებ და ეს ალბათ „აიაქსთან“ მატჩში მოხდება. შანსი უნდა გამოვიყენო. იტალიის ჩემპიონატში მეორე ადგილი დავთმეთ, მაგრამ მაინც მჯერა — „ინტერს“ ჩემპიონთა თასის მოგება შეუძლია“.

„შავ-ლურჯებს“ ამსტერდამულ მატჩში ხუან სებასტიან ვერონი ვერ დაეხმარება, რომელსაც, სავარაუდოდ, დავიდ პიზარო შეცვლის. ტრავმირებულია ალვარო რეკობაც, ხოლო მეკარე ჟულიო სეზარი, ვინაც „ლივორნოსთან“ შეხვედრა გამოტოვა, ჯანზეა და ითამაშებს.

| აიაქსის ბოლო ათი მატჩი | | |
|---|---|---|
| აიაქსი — როზენდალი | 6:0 | ედ |
| დენ ჰააგი — აიაქსი | 1:2 | ედ |
| აიაქსი — ტილბურგი | 1:0 | ედ |
| ფეიენოორდი — აიაქსი | 3:2 | ედ |
| ჰერენვენი — აიაქსი | 0:3 | ჰთ |
| აიაქსი — უტრეხტი | 1:4 | ედ |
| ტვენტე — აიაქსი | 2:3 | ედ |
| აიაქსი — ნაიმეგენი | 1:1 | ედ |
| ჰერენვენი — აიაქსი | 4:2 | ედ |
| აიაქსი — გრონინგენი | 3:2 | ედ |

ედ — ერედივიზიონი, ჰთ — ჰოლანდიის თასი

VS

| ინტერის ბოლო ათი მატჩი | | |
|---|---|---|
| ლივორნო — ინტერი | 0:0 | სA |
| ინტერი — იუნვეტუსი | 1:2 | სA |
| ფიორენტინა — ინტერი | 2:1 | სA |
| ინტერი — კიევო | 1:0 | სA |
| ინტერი — ლაციო | 1:0 | ით |
| ლეჩე — ინტერი | 0:2 | სA |
| ლაციო — ინტერი | 1:1 | ით |
| ინტერი — პალერმო | 3:0 | სA |
| ტრევიზო — ინტერი | 0:1 | სA |
| ინტერი — კალიარი | 3:2 | სA |

სA — სერია A, ით — იტალიის თასი

ინტერული ამბებიდან ისიც ვთქვათ, რომ ჟულიო სეზარის კოლეგა ფრანჩესკო ტოლდომ კლუბთან კონტრაქტი 2009 წლამდე გაახანგრძლივა და კარიერას „ინტერში“ დაასრულებს. ტოლდოს მიჰბაძა ხულიო რიკარდო კრუზმაც — იგი „შავ-ლურჯებში“ 2008-მდე დარჩება. კლუბმა კრუზს ამაგი დაუფასა — არგენტინელმა ფორვარდმა სერია A-ს 21 მატჩში 8, ხოლო ჩემპიონთა ლიგის ხუთ შეხვედრაში 3 გოლი გაიტანა.

„ინტერის“ მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ განაცხადა: „უნდა მოვიგოთ, რათა საპასუხო მატჩისთვის შედარებით მშვიდად ვიყოთ. მეოთხედფინალს ამსტერდამშივე თუ გავინაღდებთ, მერე ჩემპიონატს მივხედავთ და დარჩენილ 12 ტურში რაც შეიძლება, მეტი ქულის მოპოვებას შევეცდებით“.

კლუბის პატრონმა მასიმო მორატიმ რობერტო მანჩინი დაამშვიდა, შენ გაშვებას არ ვაპირებთო. მორატიმ უარყო ჭორი, თითქოს „ინტერი“ მანჩინის შეცვლას რაფაელ ბენიტესით აპირებს.

ახლა ამსტერდამის „აიაქსიც“ მოვიკითხოთ, რომელმაც გასულ უქმეებზე სუსტი „როზენდალი“ 6:0 გაანადგურა, ოთხი გოლი კი კლაას-იან ჰუნტელაარმა გაიტანა. „ინტერი“ რომ „როზენდალი“ არაა, აიაქსელთა მწვრთნელმა დენი ბლინდმაც კარგად იცის. თანაც ბლინდს ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი დააკლდება: გუნდის კაპიტანი ტომაშ გალაშეკი, უესლი სნეიდერი, სტივენ პიენაარი და ზდენეკ გრიგერა.

ბოლოს კი შევახსენებთ, რომ 2002-2003 წლების ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე „ინტერმა“ „აიაქსს“ ორჯერ მოუგო.

**ვაჟა ხუციშვილი**



# რევოლუცია არ იქნება!

## ფილიპო ინძაგი კლუბში და ცხოვრებაში რყევებს არ ელის

*ამ ცოტა ხნის წინ „მილანის“ 32 წლის თავდამსხმელმა ფილიპო ინძაგიმ სერია A-ში ჰეთ თრიქი გაახერხა — „რეჯინასთან“ 5:0 მოგებულ მატჩში მეკარე სამჯერ დაამწუხრა. გუშინ ინძაგი „მილანთან“ ერთად მიუნხენში გახლდათ, „ბაიერნთან“ ჩემპიონთა ლიგის პირველ მერვედფინალურ მატჩზე, ინტერვიუ კი, პიპოს მიუნხენში გამგ ზავრებამდე ჩამოართვეს, თუმც საუბარი „ბაიერნთან“ თამაშს საერთოდ არ შეხებია...*

— სერია A-ს მატჩში ერთბაშად სამი გოლის გატანა ნებისმიერი თავდამსხმელისთვის უდიდესი პატივია, რომელიც დიდხანს დაგამახსოვრდება. არანორმალურადაც ამიტომ გამიხარდა, მაგრამ ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი „პალერმოსთან“ მატჩი იყო, ძირითადში ხომ ნახევარი წელი არ ვყოფილვარ.

— წარმომიდგენია, უქმად რომ იყავით, რას განიცდიდით...

— ჩემ დღეში ყოფნას არავის ვუსურვებ. პროფესიონალი ფეხბურთელისთვის ამდენი ხნით უქმობა მართლაც რომ დამთრგუნველია. „მილანს“ უდიდესი მადლობა. კლუბის ხელმძღვანელობას და თანაგუნდელებს წუთითაც არ მივუტოვებივარ. მეუბნებოდნენ, რომ მე ძალიან საჭირო ვიყავი გუნდისთვის.

— ესე იგი, რომ ამბობენ, ინძაგი „მილანს“ ტოვებს და „რომაში“ ან „ინტერში“ გადადისო, სიცრუეა...

— მაშინვე მითხრეს, რომ ჭორებისთვის ყურადღება არ მიმექცია და თუ ამ კლუბებისგან ინტერესი სერიოზული იქნებოდა, ჟურნალისტებთან საქმე არ დამეჭირა. „ინტერზე“ რა გითხრათ, მაგრამ „რომაზე“ ლაპარაკი ძალიან მესიამოვნა. რომ ვხედავ, როგორ თამაშობენ ბოლო დროს რომაელები, ერთის თქმა შემიძლია — მათი მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი თავისი საქმის უბადლო მცოდნე და პროფესიონალია. მან ძალიან კარგი გუნდი დააყენა.

— პიპო, იტალიის ორ საუკეთესო კლუბში გითამაშიათ და ეგებ გვითხრათ, რა გამოარჩევთ „იუვენტუსსა“ და „მილანს“ სხვებისგან? ბოლო წლებში ხომ სერია A ამ ორის დუელად იქცა, სკუდეტოს ან ერთი იგებს, ანაც მეორე...

— „იუვეც“ და „მილანიც“ ორგანიზაციულად და სტრუქტურულად მართლაც რომ გამორჩეულნი არიან. ორივეს გამარჯვებულის მენტალიტეტი ღრმად აქვს გამჯდარი. აწარმოებენ სწორ სატრანსფერო პოლიტიკას და რაც მთავარია, ორივე გუნდში რკინისებური დისციპლინაა გამეფებული.

— და რით განსხვავდება მაშინ „ინტერი“? „შავ-ლურჯებს“ ხომ „იუვეზე“ და „მილანზე“ არანაკლები ტრადიცია აქვთ, მაგრამ აგერ უკვე 17 წელია, სკუდეტოს გემო არ იციან...

— ვერ გეტყვით, „ინტერში“ არასდროს ვყოფილვარ და მათ შინაურ საქმეებშიც ჩახედული არ ვარ. ერთი კი ფაქტია, წლეულს „ინტერმა“ ისე მოუმატა, რომ მეორე ადგილისთვის სერიოზულ კონკურენციას გაგვიწევს.

— რატომ მეორე?

— იმიტომ, რომ სკუდეტო წლეულს არც ჩვენი იქნება და არც „ინტერის“ — „იუვენტუსი“ ძალიან წინაა. თამაშითაც ორივეს გაცილებით გვჯობია.

— გამოდის, „მილანი“ „იუვეს“ ვერ შეეტოქება...

— სამწუხაროდ, წლეულს ასეა. შინ ქულებს საკმარისად ვაგროვებთ, მაგრამ სტუმრად ბლომად ვფანტავთ. „იუვენტუსი“ კი შინ და სტუმრად თამაშებს მიყოლებით იგებს. ჩვენ სტუმრად თამაში გვიჭირს, კონცენტრაციას ვკარგავთ.

— ხომ არ გეჩვენებათ, რომ ამის ერთ-ერთი მიზეზი ფეხბურთელთა ხანდაზმულობაა? „მილანში“ ხომ უმრავლესობა 30 წელსაა გადაცილებული...

— ვერ დაგეთანხმებით. რატომღაც ხალხს არ უნდა იმის თქმა, რომ ჩვენ, ამ შემადგენლობამ, ბოლო სამი წლის მანძილზე ორჯერ ჩემპიონთა თასის ფინალი ვითამაშეთ. ახლა მერვედფინალში ვართ და ვინ იცის, პარიზშიც კი მოგვიწიოს ჩასვლამ. ესეც რომ არა, ისეთ გუნდში, როგორიც „მილანია“, ფეხბურთელთა ერთბაშად გაშვება და ახლების მოყვანა არასერიოზული ნაბიჯი იქნება. „მილანი“ საეჭვო კვალიფიკაციის მოთამაშეს კონტრაქტს არ გაუფორმებს. ზაფხულში შეიძლება რამდენიმე ფეხბურთელი დავიმატოთ, მაგრამ რევოლუციას ნურავინ ელის.

— კარლო ანჩელოტიზე რას გვეტყვით?

— არის ხალხი, რომელიც მას უსამართლოდ აკრიტიკებს. კარლოტოს კარგად ვიცნობ. მასთან 6-7 წელია, ვმუშაობ და შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან ძლიერი, განათლებული და მოწესრიგებული კაცია.

— „იუვენტუსში“, „მილანსა“ და იტალიის ნაკრებში არაერთი ძლიერი ფორვარდი გყოლიათ. ვინმეს თუ გამოარჩევდით?

— ჯერ დღევანდელობაზე გეტყვით: ანდრეი შევჩენკოსთან და ალბერტო ჯილარდინოსთან თამაში ერთი სიამოვნებაა. „იუვეში“ მე და ალექს დელ პიერო ვუგებდით ერთმანეთს ბრწყინვალედ, „სკუადრა აძურაში“ კი ხშირად ჩემს მეგობარ ბობო ვიერისთან ვიყავი წყვილში. ასე რომ, გამორჩევით ვერავის გამოვარჩევ. არა მარტო იდეალურ ფორვარდებთან, ასეთივე გამთამაშებლებთანაც მითამაშია. ტურინში ზიდანი, მილანში კაკა და რუი კოშტა, ნაკრებში კი ტოტი. მოკლედ, საწუწუნო ნამდვილად არაფერი მაქვს.

— „სკუადრა აძურაში“ დაბრუნების იმედი არ გაქვთ?

— ცხადია, მინდა, გერმანიაში მეც რომ ვიყო, მაგრამ ეს უკვე ჩემზე არაა დამოკიდებული. ჩემგან ხმამაღალ განცხადებებს, გინდათ, თუ არა, ნაკრებში ამიყვანეთ-მეთქი, ნურავინ ელის. მარჩელო ლიპის თავსატეხი ისედაც არ აკლია. ახლა იმდენი იტალიელი თავდამსხმელია კარგ ფორმაში, მუნდიალზე ვინ წაიყვანოს, ძნელად ასარჩევია.

— ლიპი ბოლოს როდის შეგეხმიანათ?

— ორი თვის წინ. ტელევიზიაში ვიყავი მიწვეული და პირდაპირ ეთერში დარეკა, მალე გამოჯანმრთელება მისურვა. საკმაოდ გულთბილად მომიკითხა და არც კომპლიმენტები დაუკლია. ლიპის ბევრი ლაპარაკი არ უყვარს, დონ მარჩელო მშვენივრად მიცნობს და მხოლოდ მან იცის, წამიყვანს თუ არა გერმანიაში.

— ბოლოს, არასაფეხბურთო კითხვაც: ცნობილი მექალთანის სახელი გაქვთ, მაგრამ ჯერაც უცოლო ხართ. ბოჰემურ ცხოვრებას წერტილი როდისღა უნდა დაესვას?

— ყოველ შემთხვევაში, დაქორწინება ჯერ კიდევ არ შედის ჩემს გეგმებში, რადგან არ გამოჩენილა ისეთი ქალი, ვისთან ერთადაც ცხოვრებას ბოლომდე გავატარებ. ყველაფერს თავისი დრო აქვს. ვოცნებობ, შევქმნა ისეთი ოჯახი, როგორშიაც მე გავიზარდე, ჩემი შვილები ისევე აღვზარდო, როგორც მე ჩემმა მშობლებმა.

**სპორტ-ექსპრესი**

# ტოტი ტოტალურ მოკითხვაშია

**იტალიის** პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ, რომელიც, მოგეხსენებათ, იმავდროულად „მილანის“ მეპატრონეა, ორშაბათს რომის კლინიკაში ფრანჩესკო ტოტი მოინახულა.

ტოტის, შეგახსენებთ, ამ უქმეებზე „რომასა“ და „ემპოლის“ მატჩისას კოჭი მოსტეხეს, ოპერაციაც გაუკეთეს და თქვეს, სულ ცოტა, ორი თვე ვერ ითამაშებსო.

ბერლუსკონის ვიზიტს მივუბრუნდეთ. მისთვის, როგორც „მილანის“ მეპატრონისთვის, კონკურენტი კლუბის საუკეთესო ფეხბურთელის დამტვრევას გული არ უნდა დაეწყვიტა. მაგრამ ტოტი „სკუადრა აძურას“ საკვანძო ფეხბურთელიცაა, მსოფლიოს ჩემპიონატი კი კარსაა მომდგარი და იტალიის პრემიერ-მინისტრიც ამად ესტუმრა ჰოსპიტალს.

ბერლუსკონიმ ეთიკეტის დაცვით განაცხადა, რომ ტოტი იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთი სახეა და მისნაირებს უნდა გავუფრთხილდეთ. კიდევ თქვა, უკნიდან ჩაწიხვლები გახშირდა და რაღაც უნდა ვიღონოთ, ტოტის კი მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებ.

პრემიერის ტოტისთან ვიზიტი 15 წუთს გაგრძელდა.

უფრო მნიშვნელოვანი კი, რა თქმა უნდა, „სკუადრა აძურას“ მწვრთნელის, მარჩელო ლიპის მოსაზრებაა. ლიპიმ „რადიო რეპუბლიკას“ ეთერში თქვა, რომ ფრანჩესკო ტოტის შემცვლელი არ ჰყავს.

— მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი მატჩი 113 დღის მერე გვაქვს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იქამდე ყველაფერი მოგვარდება — თქვა სიგარის მოყვარულმა მწვრთნელმა.

ამბობენ, თუ უარესი მოხდა და ტოტი იქამდე ვერ ადგა, მუნდიალზე ალესანდრო დელ პიერო შეცვლისო. თავად „იუვენტუსმა“ კი ტოტის თავაზიანი მოსაკითხი ბარათი გაუგზავნა.



# ბორტოლუცი ტრევიზოში

**იტალიური** „ტრევიზო“ სერია A-დან გასავარდნად თითქმის განწირულია. მართალია, ჩემპიონატის დასრულებამდე 12 ტურია დარჩენილი, მაგრამ „სტადიო ტენის“ ბინადრები ისე უსუსურად გამოიყურებიან, რომ საეჭვოა, ელიტაში დარჩენა შეძლონ. კლუბის პრეზიდენტ ეტორე სეტენს იმედი ჯერ არ დაუკარგავს და საშველად ახალ მწვრთნელ დიეგო ბორტოლუცის უხმო, რადგან ალბერტო კავაზინი პოსტიდან დაითხოვეს.

„კავაზინი განთავისუფლებულია. კლუბი დიდ მადლობას უხდის გაწეული სამსახურისთვის და წარმატებებს უსურვებს. მას ახალგაზრდული გუნდის თავკაცი დიეგო ბორტოლუცი შეცვლის, რომელსაც ალბინო პილონი დაეხმარება“ — ნათქვამია „ტრევიზოს“ ოფიციალურ განცხადებაში.

ალბერტო კავაზინი: „ეს ჩემი მშობლიური ქალაქი და კლუბია. ვწუხვარ, რომ მდგომარეობის გამოსწორება ვერ შევძელი. თუმცა მჯერა, „ტრევიზოს“ პრობლემები მოგვარდება, რაც ძალიან გამახარებს“.

ეტორე სეტენმა კი თავისი გუნდის წარუმატებლობაში მსაჯებიც დაადანაშაულა და მათ ობიექტურობისკენ მოუწოდა — რადგან პატარა კლუბი ვართ, ნუ გვჩაგრავთო. შეგახსენებთ, რომ „ტრევიზო“ 14 ქულით სერია A-ს ფსკერზეა.

**კოკი კანდელაკი**

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ


## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 1 | ნიუკასლი-ჩარლტონი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| | | **25 თებერვალი** | | | | | | |
| 21:15 | 2 | ნიუკასლი-ევერტონი | 2.10 | 3.20 | 3.35 | 1.26 | 1.29 | 1.63 |
| 19:00 | 3 | ბირმინგემი-სანდერლენდი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 19:00 | 4 | ბლეკბერნი-არსენალი | 2.90 | 3.20 | 2.30 | 1.52 | 1.28 | 1.33 |
| 19:00 | 5 | ჩელსი-პორტსმუთი | 1.15 | 6.30 | 16.00 | 1.00 | 1.07 | 4.52 |
| 19:00 | 7 | ჩარლტონი-ასტონ ვილა | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 16:15 | 8 | ლივერპული-სიტი | 1.55 | 3.50 | 6.20 | 1.07 | 1.24 | 2.23 |
| 17:00 | 10 | ბოლტონი-ფულემი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 19:00 | 11 | ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო | 2.40 | 3.20 | 2.80 | 1.37 | 1.29 | 1.49 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **25 თებერვალი** | | | | | | |
| 19:00 | 12 | უოტფორდი-კარდიფი | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| 19:00 | 13 | საუთჰემპტონი-უენსდეი | 1.95 | 3.00 | 3.65 | 1.18 | 1.27 | 1.64 |
| 19:00 | 14 | შეფილდი-ქპრ | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 19:00 | 15 | სტოუკი-მილუოლი | 1.90 | 3.20 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.70 |
| 19:00 | 16 | ლიდსი-ლუტონი | 1.70 | 3.30 | 4.40 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 19:00 | 17 | რიდინგი-პრესტონი | 1.68 | 3.40 | 4.90 | 1.12 | 1.25 | 2.00 |
| 19:00 | 18 | იფსვიჩი-ლესტერი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 19:00 | 19 | ჰალი-ვულვერჰემპტონი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 19:00 | 20 | ქოვენტრი-ბერნლი | 1.95 | 3.20 | 3.65 | 1.21 | 1.27 | 1.70 |
| 19:00 | 21 | ქრიუ-ბრაიტონი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 19:00 | 22 | კრისტალ პალასი-ნორვიჩი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 19:00 | 23 | დერბი-პლიმუთი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **24 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 24 | სუონსი-ჰადერსფილდი | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| | | **25 თებერვალი** | | | | | | |
| 19:00 | 25 | საუთენდი-უოლსოლი | 1.55 | 3.40 | 5.80 | 1.06 | 1.22 | 2.14 |
| 19:00 | 26 | ნოტინგემი-სუინდონი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 19:00 | 27 | ოლდემი-ტრანმერი | 1.95 | 3.10 | 3.55 | 1.19 | 1.25 | 1.65 |
| 19:00 | 28 | როტერჰემი-ჩესტერფილდი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 19:00 | 29 | ბრენტფორდი-პორტ ვეილი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 19:00 | 30 | ბრისტოლი-ბორნმუთი | 1.95 | 3.20 | 3.45 | 1.21 | 1.24 | 1.66 |
| 19:00 | 31 | ბლეკპული-იოვილი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 19:00 | 32 | ბარნსლი-კოლჩესტერი | 2.25 | 3.10 | 2.85 | 1.30 | 1.25 | 1.48 |
| 19:00 | 33 | ჰარტლპული-დონკასტერი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 19:00 | 34 | ჯილინგემი-სქანთორპი | 2.00 | 3.10 | 3.45 | 1.21 | 1.26 | 1.63 |
| 19:00 | 35 | დონსი-ბრედფორდი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **25 თებერვალი** | | | | | | |
| 19:00 | 36 | რაშდენი-მაკლსფილდი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 19:00 | 37 | გრიმსბი-ჩესტერი | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| 19:00 | 38 | ჩელტენემი-როჩდეილი | 1.75 | 3.20 | 4.30 | 1.13 | 1.24 | 1.83 |
| 19:00 | 39 | ბარნეტი-კარლაილი | 2.90 | 3.10 | 2.25 | 1.49 | 1.26 | 1.30 |
| 19:00 | 40 | პიტერბორო-როვერსი | 1.95 | 3.10 | 3.50 | 1.19 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 41 | ლეიტონი-დარლინგტონი | 1.90 | 3.20 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.70 |
| 19:00 | 42 | ლინკოლნი-ნოტსი | 1.85 | 3.20 | 3.75 | 1.17 | 1.23 | 1.72 |
| 19:00 | 43 | სტოკპორტი-ბოსტონი | 2.35 | 2.90 | 2.90 | 1.29 | 1.29 | 1.45 |
| 19:00 | 44 | ტორკი-მენსფილდი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 19:00 | 45 | შრუსბერი-ბერი | 1.85 | 3.20 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| 19:00 | 46 | რექსემი-ნორთჰემპტონი | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| 19:00 | 47 | უიკომბი-ოქსფორდი | 1.65 | 3.20 | 5.00 | 1.08 | 1.24 | 1.95 |
| | | **გერმანია** | | | | | | |
| | | **I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **25 თებერვალი** | | | | | | |
| 18:30 | 76 | ვერდერი-მიონხენგლადბახი | 1.45 | 3.80 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.46 |
| 18:30 | 78 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 2.30 | 3.10 | 3.00 | 1.32 | 1.30 | 1.52 |
| 18:30 | 79 | შალკე-ნიურნბერგი | 1.45 | 4.00 | 6.50 | 1.06 | 1.18 | 2.47 |
| 18:30 | 81 | მაინცი-კაიზერსლაუტერნი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 18:30 | 82 | არმინია-დორტმუნდი | 2.40 | 3.10 | 2.80 | 1.35 | 1.29 | 1.47 |
| 18:30 | 83 | ბაიერნი-აინტრახტი | 1.25 | 4.70 | 12.00 | 1.00 | 1.13 | 3.37 |
| 18:30 | 85 | კიოლნი-ლევერკუზენი | 2.60 | 3.20 | 2.50 | 1.43 | 1.27 | 1.40 |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 20:30 | 86 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 20:30 | 87 | დუისბურგი-ჰერტა | 2.75 | 3.20 | 2.35 | 1.47 | 1.26 | 1.35 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 21:00 | 89 | დინამო-ჰანზა | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)** | | | | | | |
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 22:30 | 99 | ლევერკუზენი(მ)-ესენი | 3.10 | 3.30 | 2.00 | 1.59 | 1.21 | 1.24 |
| 18:00 | 561 | ჰამბურგი(მ)-ერფურტი | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **25 თებერვალი** | | | | | | |
| 21:00 | 140 | რეჯინა-ლივორნო | 2.45 | 2.80 | 3.10 | 1.30 | 1.36 | 1.47 |
| 23:30 | 141 | პარმა-ფიორენტინა | 3.05 | 2.90 | 2.40 | 1.48 | 1.34 | 1.31 |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 18:00 | 143 | პალერმო-მილანი | 3.55 | 3.00 | 2.10 | 1.62 | 1.31 | 1.23 |
| 18:00 | 145 | სიენა-სამპდორია | 2.50 | 2.80 | 2.95 | 1.32 | 1.35 | 1.43 |
| 18:00 | 146 | ემპოლი-ტრევიზო | 1.80 | 3.00 | 4.80 | 1.12 | 1.30 | 1.84 |
| 18:00 | 147 | იუვენტუსი-ლეჩე | 1.15 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.53 |
| 18:00 | 149 | ასკოლი-მესინა | 2.20 | 2.80 | 3.60 | 1.23 | 1.36 | 1.57 |
| 18:00 | 150 | ინტერი-უდინეზე | 1.33 | 4.50 | 8.50 | 1.02 | 1.15 | 2.94 |
| 18:00 | 152 | კალიარი-კიევო | 2.45 | 2.80 | 3.10 | 1.30 | 1.36 | 1.47 |
| 23:30 | 153 | ლაციო-რომა | 2.55 | 2.90 | 2.80 | 1.35 | 1.33 | 1.42 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **25 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 188 | სარაგოსა-ბარსელონა | 4.10 | 3.20 | 1.85 | 1.79 | 1.27 | 1.17 |
| 23:00 | 194 | ატლეტიკო-მალაგა | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 184 | ოსასუნა-დეპორტივო | 2.25 | 3.10 | 3.10 | 1.30 | 1.30 | 1.54 |
| 22:00 | 185 | მალიორკა-რეალი | 6.20 | 3.70 | 1.50 | 2.31 | 1.20 | 1.06 |
| 20:00 | 187 | ვალენსია-ხეტაფე | 1.45 | 3.80 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.46 |
| 20:00 | 190 | სელტა-კადისი | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 20:00 | 191 | ბეტისი-სოსიედადი | 1.95 | 3.10 | 3.90 | 1.19 | 1.29 | 1.72 |
| 20:00 | 192 | ალავესი-რასინგი | 2.30 | 3.10 | 3.00 | 1.32 | 1.30 | 1.52 |
| 20:00 | 193 | ბილბაო-ვილიარეალი | 2.50 | 3.00 | 2.75 | 1.36 | 1.30 | 1.43 |
| 20:00 | 195 | ესპანიოლი-სევილია | 2.55 | 3.10 | 2.65 | 1.39 | 1.29 | 1.42 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 23:30 | 555 | ბრიუგე-ვესტერლო | 2.25 | 3.10 | 2.80 | 1.30 | 1.24 | 1.47 |
| 23:30 | 556 | სტანდარდი-ლირსი | 1.25 | 4.90 | 8.00 | 1.00 | 1.08 | 3.03 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **25 თებერვალი** | | | | | | |
| 20:00 | 312 | ლიბერეცი-იჰლავა | 1.35 | 4.20 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.69 |
| 20:00 | 314 | ზლინი-ტეპლიცე | 2.70 | 2.80 | 2.60 | 1.37 | 1.32 | 1.34 |
| 20:00 | 318 | პლზენი-იაბლონეცი | 2.15 | 2.90 | 3.30 | 1.23 | 1.30 | 1.54 |
| 17:25 | 319 | ბრნო-სპარტა | 4.00 | 3.40 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| | | **26 თებერვალი** | | | | | | |
| 20:30 | 315 | ბოლესლავი-ბანიკი | 2.20 | 2.90 | 3.20 | 1.25 | 1.30 | 1.52 |
| 20:30 | 316 | მოსტი-სლოვაცკო | 2.20 | 2.90 | 3.20 | 1.25 | 1.30 | 1.52 |
| 20:30 | 317 | პრიბრამი-ბლშანი | 1.60 | 3.40 | 4.80 | 1.08 | 1.20 | 1.99 |
| | | **27 თებერვალი** | | | | | | |
| 19:40 | 313 | სლავია-სიგმა | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| | | **მექსიკა** | | | | | | |
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 326 | ატლანტე-ჩივასი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 360 | რეინჯერსი-ვილიარეალი | 2.65 | 3.10 | 2.55 | 1.42 | 1.29 | 1.39 |
| 23:45 | 361 | ვერდერი-იუვენტუსი | 3.00 | 3.00 | 2.35 | 1.50 | 1.31 | 1.31 |
| 23:45 | 362 | ჩელსი-ბარსელონა | 2.20 | 3.00 | 3.30 | 1.26 | 1.31 | 1.57 |
| 23:45 | 363 | აიაქსი-ინტერი | 3.10 | 3.00 | 2.30 | 1.52 | 1.32 | 1.30 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 19:00 | 364 | პალერმო-სლავია | 1.45 | 3.80 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.46 |
| 19:15 | 365 | რაპიდი(ბ)-ჰერტა | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 20:00 | 366 | ლევსკი-არტმედია | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 21:00 | 367 | ზენიტი-როზენბორგი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 21:00 | 368 | სტიაუა-ჰერენვენი | 1.65 | 3.50 | 4.60 | 1.12 | 1.21 | 1.98 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 369 | შახტარი-ლილი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 21:30 | 370 | ჰამბურგი-თუნი | 1.32 | 4.40 | 8.00 | 1.01 | 1.13 | 2.83 |
| 22:00 | 371 | სტრასბური-ლიტექსი | 1.58 | 3.50 | 5.30 | 1.08 | 1.21 | 2.10 |
| 23:45 | 372 | ლანსი-უდინეზე | 1.85 | 3.30 | 3.90 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 23:45 | 373 | მიდლსბრო-შტუტგარტი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 23:45 | 374 | მონაკო-ბაზელი | 1.57 | 3.50 | 5.50 | 1.08 | 1.22 | 2.13 |
| 23:45 | 375 | მარსელი-ბოლტონი | 1.95 | 3.20 | 3.65 | 1.21 | 1.27 | 1.70 |
| 23:45 | 376 | ალკმაარი-ბეტისი | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 23:45 | 377 | რომა-ბრიუგე | 1.38 | 3.90 | 7.50 | 1.01 | 1.16 | 2.56 |
| 23:45 | 378 | სევილია-ლოკომოტივი(მ) | 1.56 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.21 | 2.13 |
| 23:45 | 379 | ესპანიოლი-შალკე | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |

**ინგლისი. Carling Cup (ფინალი)**
**26 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 382 | მანჩესტერი-უიგანი | 1.60 | 3.40 | 5.70 | 1.08 | 1.24 | 2.12 |

**თურქეთი. თასი**
**22 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 383 | ერჯიესი-ანკარაგუჯუ | 2.40 | 3.30 | 2.50 | 1.38 | 1.22 | 1.42 |

**ფინეთი. თასი**
**22 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14:45 | 384 | ჰაკა-ტურკუ | 1.45 | 3.80 | 5.80 | 1.04 | 1.15 | 2.29 |
| 20:00 | 385 | ლაჰტი-კტპ | 1.85 | 3.40 | 3.30 | 1.19 | 1.18 | 1.67 |

**24 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 386 | ვპს-ინტერი | 2.25 | 3.30 | 2.60 | 1.33 | 1.20 | 1.45 |

**როიალ ლიგა**
**23 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 578 | იურგორდენი-ვოლერენგა | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.23 | 1.28 | 1.57 |
| 21:30 | 579 | ლინი-მიდტიულანდი | 2.15 | 3.00 | 3.10 | 1.25 | 1.26 | 1.52 |
| 23:35 | 580 | კოპენჰაგენი-ჰამარი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 23:35 | 581 | გოტებორგი-ლილესტრიომი | 2.30 | 3.00 | 2.90 | 1.30 | 1.28 | 1.47 |

**ლიბერტადორესის თასი**
**22 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 401 | გოიასი-სტრონგესტი | 1.20 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.33 |
| 23:45 | 402 | კორინთიანსი-უნ.კატოლიკა | 1.25 | 4.80 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.06 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 403 | პუმასი-მარაკაიბო | 1.20 | 5.30 | 9.50 | 1.00 | 1.06 | 3.40 |

**23 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 404 | ინტერნასიონალი-ნასიონალი | 1.33 | 4.10 | 7.50 | 1.00 | 1.12 | 2.63 |
| 23:45 | 405 | როსარიო-სერო | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |

**ჰოკეი. გერმანია**
**24 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 501 | ნიურნბერგი-ჰამბურგი | 1.80 | 4.30 | 2.60 | 1.26 | 1.06 | 1.62 |

**კალათბურთი. საბერძნეთი**
**22 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 668 | არისი-პაოკ | 1.35 | 12.00 | 2.75 | 1.21 | 1.00 | 2.23 |

**კალათბურთი. ევროლიგა**
**22 თებერვალი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:45 | 570 | რიტასი-ცსკა | 2.05 | 12.00 | 1.55 | 1.75 | 1.00 | 1.37 |
| 22:15 | 571 | ეფესი-ბენეტონი | 1.40 | 12.00 | 2.45 | 1.25 | 1.00 | 2.03 |
| 22:45 | 572 | ოლიმპიაკოსი-უნიკახა | 1.85 | 12.00 | 1.70 | 1.60 | 1.00 | 1.48 |

**ჩოგბურთი.ქალები.დუბაი**
**22 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11:00 | 565 | დევენპორტი-ლოხოვცევა | 1.10 | 5.00 |
| 11:00 | 566 | შარაპოვა-დუშევინა | 1.10 | 5.00 |

**ჩოგბურთი.კაცები.როტერდამი**
**22 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14:00 | 544 | ანჩიჩი-ნიემინენი ი | 1.50 | 2.35 |
| 14:00 | 546 | იოჰანსონი ტ-ჰენმენი | 1.60 | 1.95 |
| 14:00 | 551 | შტეპანეკი-ლამერი | 1.15 | 4.50 |

**კერლინგი ქალები**
**ოლიმპიადა 2006**
**22 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 17:00 | 567 | კანადა-შვეიცარია | 1.65 | 1.90 |
| 17:00 | 568 | შვედეთი-ნორვეგია | 1.30 | 3.00 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | ნიუკასლი-ჩარლტონი | 2.20 | 2.00 | 4.20 | 1.04 | 1.44 | 1.35 |
| 10360 | რეინჯერსი-ვილიარეალი | 3.20 | 2.00 | 2.90 | 1.23 | 1.52 | 1.18 |
| 10361 | ვერდერი-იუვენტუსი | 3.35 | 2.00 | 2.75 | 1.25 | 1.51 | 1.15 |
| 10362 | ჩელსი-ბარსელონა | 2.40 | 2.00 | 3.50 | 1.09 | 1.42 | 1.27 |
| 10363 | აიაქსი-ინტერი | 3.20 | 2.00 | 2.65 | 1.23 | 1.44 | 1.13 |
| 10364 | პალერმო-სლავია | 1.70 | 2.30 | 6.00 | 1.00 | 1.32 | 1.66 |
| 10365 | რაპიდი(ბ)-ჰერტა | 2.75 | 2.00 | 3.10 | 1.15 | 1.45 | 1.21 |
| 10366 | ლევსკი-პეტრჟალკა | 1.90 | 2.10 | 5.50 | 1.00 | 1.41 | 1.51 |
| 10367 | ზენიტი-რუსენბორგი | 2.05 | 2.00 | 5.20 | 1.01 | 1.47 | 1.44 |
| 10368 | სტიაუა-ჰერენვენი | 2.05 | 2.00 | 5.10 | 1.01 | 1.46 | 1.43 |
| 10369 | შახტარი-ლილი | 2.25 | 2.00 | 4.30 | 1.05 | 1.47 | 1.36 |
| 10370 | ჰამბურგი-თუნი | 1.55 | 2.50 | 6.80 | 1.00 | 1.26 | 1.82 |
| 10371 | სტრასბური-ლიტექსი | 1.85 | 2.20 | 5.40 | 1.00 | 1.37 | 1.56 |
| 10372 | ლანსი-უდინეზე | 2.25 | 2.10 | 4.30 | 1.08 | 1.47 | 1.41 |
| 10373 | მიდლსბრო-შტუტგარტი | 2.30 | 2.00 | 4.20 | 1.06 | 1.48 | 1.35 |
| 10374 | მონაკო-ბაზელი | 1.90 | 2.20 | 5.40 | 1.01 | 1.40 | 1.56 |
| 10375 | მარსელი-ბოლტონი | 2.35 | 2.00 | 4.00 | 1.08 | 1.48 | 1.33 |
| 10376 | ალკმაარი-ბეტისი | 2.30 | 2.00 | 4.20 | 1.06 | 1.48 | 1.35 |
| 10377 | რომა-ბრიუგე | 1.75 | 2.30 | 6.20 | 1.00 | 1.36 | 1.67 |
| 10378 | სევილია-ლოკომოტივი(მ) | 1.90 | 2.20 | 5.50 | 1.01 | 1.41 | 1.57 |
| 10379 | ესპანიოლი-შალკე | 2.75 | 2.00 | 3.20 | 1.15 | 1.47 | -1.23 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | ნიუკასლი-ჩარლტონი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11360 | რეინჯერსი-ვილიარეალი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11361 | ვერდერი-იუვენტუსი | 4.10 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.50 | 20.00 | 10.00 | 3.40 |
| 11362 | ჩელსი-ბარსელონა | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11363 | აიაქსი-ინტერი | 4.20 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11364 | პალერმო-სლავია | 1.80 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 8.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11365 | რაპიდი(ბ)-ჰერტა | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11366 | ლევსკი-პეტრჟალკა | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 8.00 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11367 | ზენიტი-რუსენბორგი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11368 | სტიაუა-ჰერენვენი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11369 | შახტარი-ლილი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11370 | ჰამბურგი-თუნი | 1.65 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.50 | 10.00 | 20.00 | 8.00 | 8.00 |
| 11371 | სტრასბური-ლიტექსი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 8.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11372 | ლანსი-უდინეზე | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11373 | მიდლსბრო-შტუტგარტი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11374 | მონაკო-ბაზელი | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 8.00 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11375 | მარსელი-ბოლტონი | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11376 | ალკმაარი-ბეტისი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.30 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11377 | რომა-ბრიუგე | 1.80 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11378 | სევილია-ლოკომოტივი(მ) | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 8.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11379 | ესპანიოლი-შალკე | 3.40 | 10.00 - | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20:00 | 10.00 | 4.60 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12001 | ნიუკასლი-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 12360 | რეინჯერსი-ვილიარეალი | 1.55 | 2.10 |
| 12361 | ვერდერი-იუვენტუსი | 1.90 | 1.70 |
| 12362 | ჩელსი-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 12363 | აიაქსი-ინტერი | 1.60 | 2.10 |
| 12364 | პალერმო-სლავია | 1.70 | 1.90 |
| 12365 | რაპიდი(ბ)-ჰერტა | 1.70 | 1.90 |
| 12366 | ლევსკი-პეტრჟალკა | 1.70 | 1.90 |
| 12367 | ზენიტი-რუსენბორგი | 1.90 | 1.70 |
| 12368 | სტიაუა-ჰერენვენი | 1.90 | 1.70 |
| 12369 | შახტარი-ლილი | 1.70 | 1.90 |
| 12370 | ჰამბურგი-თუნი | 1.90 | 1.70 |
| 12371 | სტრასბური-ლიტექსი | 1.70 | 1.90 |
| 12372 | ლანსი-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 12373 | მიდლსბრო-შტუტგარტი | 1.70 | 1.90 |
| 12374 | მონაკო-ბაზელი | 1.70 | 1.90 |
| 12375 | მარსელი-ბოლტონი | 1.60 | 2.00 |
| 12376 | ალკმაარი-ბეტისი | 1.90 | 1.70 |
| 12377 | რომა-ბრიუგე | 1.70 | 1.90 |
| 12378 | სევილია-ლოკომოტივი(მ) | 1.70 | 1.90 |
| 12379 | ესპანიოლი-შალკე | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო კი/არა)

| | | | |
|---|---|---|---|
| 13001 | ნიუკასლი-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13360 | რეინჯერსი-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 13361 | ვერდერი-იუვენტუსი | 1.70 | 1.90 |
| 13362 | ჩელსი-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 13363 | აიაქსი-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 13364 | პალერმო-სლავია | 1.90 | 1.60 |
| 13365 | რაპიდი(ბ)-ჰერტა | 1.65 | 1.85 |
| 13366 | ლევსკი-პეტრჟალკა | 1.85 | 1.60 |
| 13367 | ზენიტი-რუსენბორგი | 1.80 | 1.60 |
| 13368 | სტიაუა-ჰერენვენი | 1.65 | 1.85 |
| 13369 | შახტარი-ლილი | 1.70 | 1.90 |
| 13370 | ჰამბურგი-თუნი | 1.85 | 1.60 |
| 13371 | სტრასბური-ლიტექსი | 1.90 | 1.60 |
| 13372 | ლანსი-უდინეზე | 1.60 | 1.85 |
| 13373 | მიდლსბრო-შტუტგარტი | 1.65 | 1.90 |
| 13374 | მონაკო-ბაზელი | 1.85 | 1.60 |
| 13375 | მარსელი-ბოლტონი | 1.85 | 1.60 |
| 13376 | ალკმაარი-ბეტისი | 1.60 | 1.85 |
| 13377 | რომა-ბრიუგე | 1.85 | 1:60 |
| 13378 | სევილია-ლოკომოტივი(მ) | 1.90 | 1.60 |
| 13379 | ესპანიოლი-შალკე | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ნიუკასლი-ჩარლტონი | 1.55 | 2.20 |
| 14360 | რეინჯერსი-ვილიარეალი | 1.90 | 1.90 |
| 14361 | ვერდერი-იუვენტუსი | 1.95 | 1.85 |
| 14362 | ჩელსი-ბარსელონა | 1.70 | 2.10 |
| 14363 | აიაქსი-ინტერი | 1.95 | 1.75 |
| 14364 | პალერმო-სლავია | 1.20 | 2.60 |
| 14365 | რაპიდი(ბ)-ჰერტა | 1.80 | 1.90 |
| 14366 | ლევსკი-პეტრჟალკა | 1.30 | 2.50 |
| 14367 | ზენიტი-რუსენბორგი | 1.40 | 2.30 |
| 14368 | სტიაუა-ჰერენვენი | 1.40 | 2.30 |
| 14369 | შახტარი-ლილი | 1.60 | 2.20 |
| 14370 | ჰამბურგი-თუნი | 1.13 | 2.60 |
| 14371 | სტრასბური-ლიტექსი | 1.25 | 2.50 |
| 14372 | ლანსი-უდინეზე | 1.55 | 2.30 |
| 14373 | მიდლსბრო-შტუტგარტი | 1.65 | 2.20 |
| 14374 | მონაკო-ბაზელი | 1.25 | 2.30 |
| 14375 | მარსელი-ბოლტონი | 1.60 | 2.30 |
| 14376 | ალკმაარი-ბეტისი | 1.60 | 2.30 |
| 14377 | რომა-ბრიუგე | 1.18 | 2.50 |
| 14378 | სევილია-ლოკომოტივი(მ) | 1.30 | 2.50 |
| 14379 | ესპანიოლი-შალკე | 1.80 | 1.90 |

| რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ნიუკასლი-ჩარლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15360 | რეინჯერსი-ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15361 | ვერდერი-იუვენტუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15362 | ჩელსი-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15363 | აიაქსი-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15364 | პალერმო-სლავია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15365 | რაპიდი(ბ)-ჰერტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15366 | ლევსკი-პეტრჟალკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15367 | ზენიტი-როზენბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15368 | სტიაუა-ჰერენვენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15369 | შახტარი-ლილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15370 | ჰამბურგი-თუნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15371 | სტრასბური-ლიტექსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15372 | ლანსი-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15373 | მიდლსბრო-შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15374 | მონაკო-ბაზელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15375 | მარსელი-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15376 | ალკმაარი-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15377 | რომა-ბრიუგე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15378 | სევილია-ლოკომოტივი(მ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15379 | ესპანიოლი-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |

| ფრეს გარეშე (ძირ დრო) | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ნიუკასლი-ჩარლტონი | 1.30 | 2.60 |
| 16360 | რეინჯერსი-ვილიარეალი | 1.85 | 1.65 |
| 16361 | ვერდერი-იუვენტუსი | 1.90 | 1.60 |
| 16362 | ჩელსი-ბარსელონა | 1.45 | 2.10 |
| 16363 | აიაქსი-ინტერი | 1.90 | 1.60 |
| 16364 | პალერმო-სლავია | 1.16 | 3.40 |
| 16365 | რაპიდი(ბ)-ჰერტა | 1.60 | 1.90 |
| 16366 | ლევსკი-პეტრჟალკა | 1.20 | 3.10 |
| 16367 | ზენიტი-როზენბორგი | 1.25 | 3.20 |
| 16368 | სტიაუა-ჰერენვენი | 1.25 | 3.20 |
| 16369 | შახტარი-ლილი | 1.37 | 2.50 |
| 16370 | ჰამბურგი-თუნი | 1.08 | 4.30 |
| 16371 | სტრასბური-ლიტექსი | 1.23 | 3.20 |
| 16372 | ლანსი-უდინეზე | 1.35 | 2.60 |
| 16373 | მიდლსბრო-შტუტგარტი | 1.38 | 2.50 |
| 16374 | მონაკო-ბაზელი | 1.23 | 3.20 |
| 16375 | მარსელი-ბოლტონი | 1.37 | 2.60 |
| 16376 | ალკმაარი-ბეტისი | 1.35 | 2.70 |
| 16377 | რომა-ბრიუგე | 1.14 | 4.00 |
| 16378 | სევილია-ლოკომოტივი(მ) | 1.22 | 3.30 |
| 16379 | ესპანიოლი-შალკე | 1.60 | 1.90 |

| გოლი:წყვილი-1ლუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად) | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | ნიუკასლი-ჩარლტონი | 1.85 | [illegible] |
| 17360 | რეინჯერსი-ვილიარეალი | 1.85 | [illegible] |
| 17361 | ვერდერი-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17362 | ჩელსი-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17363 | აიაქსი-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17364 | პალერმო-სლავია | 1.85 | 1.95 |
| 17365 | რაპიდი(ბ)-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17366 | ლევსკი-პეტრჟალკა | 1.85 | 1.95 |
| 17367 | ზენიტი-როზენბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17368 | სტიაუა-ჰერენვენი | 1.85 | 1.95 |
| 17369 | შახტარი-ლილი | 1.85 | 1.95 |
| 17370 | ჰამბურგი-თუნი | 1.85 | 1.95 |
| 17371 | სტრასბური-ლიტექსი | 1.85 | 1.95 |
| 17372 | ლანსი-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17373 | მიდლსბრო-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17374 | მონაკო-ბაზელი | 1.85 | 1.95 |
| 17375 | მარსელი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17376 | ალკმაარი-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17377 | რომა-ბრიუგე | 1.85 | 1.95 |
| 17378 | სევილია-ლოკომოტივი(მ) | 1.85 | 1.95 |
| 17379 | ესპანიოლი-შალკე | 1.85 | 1.95 |

## შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18360 | რეინჯერსი-ვილიარეალი | 2.90 | 1.35 |
| 18361 | ვერდერი-იუვენტუსი | 3.40 | 1.25 |
| 18362 | ჩელსი-ბარსელონა | 1.90 | 1.65 |
| 18363 | აიაქსი-ინტერი | 3.50 | 1.20 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ქავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | ცისფერყანწელთა ქუჩა №4 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 21 | |
| ოზურგეთი | იოანე პეტრიწის ქუჩა №3 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | თამარ მეფის №1 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ზუგდიდი | გამსახურდიას №41 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №17-29 | |

# ლუკა კურტანიძე საპეკინოდ მძიმდება

*მსოფლიოს ორგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონ, თავისუფალი სტილით მოჭიდავე, ლუკა კურტანიძეს წლეულს არც ერთი ტურნირი არ უჭიდავია. საქართველოს ნაკრების ლიდერმა წონის შეცვლა გადაწყვიტა — 96 კილოგრამიდან +120-ში გადადის და ჯერ მთელ დროს ვარჯიშს უთმობს. ახლა იგი ბაკურიანშია, სადაც საქართველოს ნაკრები აპრილში გასამართ ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ შეკრებას გადის. კურტანიძე ახალ წონას აპრილამდეც მოსინჯავს, ორ კვირაში ტაშკენტის საერთაშორისო ტურნირზე გეგმავს დებიუტს. ინტერვიუსთვის გუშინ, დილის ვარჯიშის დასრულებისთანავე შევეხმიანეთ ტელეფონით. დაღლილი იყო, მაგრამ მაინც სიამოვნებით დაგვთანხმდა*


ბადრი ქეთილაძის ფოტო

**— როდის გადაწყვიტე მძიმე წონაში გადასვლა?**

— შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ.

**— თუმცა ირანში 2005 წლის ბოლოს ისევ 96 კილოგრამში იჭიდავე...**

— ესეც მიზანმიმართული ნაბიჯი იყო. არაოფიციალურ ტურნირებზე წონითი კატეგორიების ორი კილოგრამით გადაჭარბების უფლება გეძლევა. ირანში კი ოთხ ასეთ ტურნირზე გამოვედი და მომატებული კილოგრამებიც სასიკეთოდ გამოვიყენე.

**— წონის შეცვლა ჭიდაობაში ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ სხვა საქმეა, როცა 96 კილოგრამიდან +120-ში გადადიხარ. ამხელა მასის დაძლევას როგორ აპირებ?**

— სულაც არაა აუცილებელი, მასა ერთბაშად მოიმატო, მთავარია, ეს ჭკვიანურად გააკეთო. როცა წონის შეცვლა გადავწყვიტე, ამის შესახებ ჩემს პირად მწვრთნელ ლერი ხაბელოვს ვუთხარი. მერე საქმის კურსში ნაკრების თავკაცებიც ჩავაყენეთ. მოკლედ, რჩევა ყველა სპეციალისტს ვკითხე და მოსამზადებელი გეგმაც ამის შემდეგ შევადგინეთ. მართალია, ჩემს ძველ და ახალ წონით კატეგორიებს შორის დიდი სხვაობაა, მაგრამ ამასაც მოევლება.

**— მაგრამ მარტო წონის მომატებაც ხომ არაა...**

— რა თქმა უნდა. წონაში ნელ-ნელა, მომზადების პარალელურად უნდა მოვიმატო. სხვა შემთხვევაში ზედმეტი მასა შეიძლება პირიქით, ხელის შემშლელი ფაქტორიც გამოდგეს. ამ პროცესში მოდუნება არ შეიძლება. განსაკუთრებული ფიზიკური დატვირთვებით ვარჯიში ტექნიკას ჰარმონიულად უნდა შეერწყას.

**— მაინც რატომ მოინდომე წონის შეცვლა. 96 კილოგრამში საჭიდაოდ ბევრს იკლებდი ხოლმე?**

— წლების წინ, ხალიჩაზე გასვლა რომ დავიწყე, 29 კილოგრამში ვჭიდაობდი. იქედან მოყოლებული, ჩემს საჭიდაო წონაზე 3-4 კილოგრამით მეტი არასოდეს ვყოფილვარ. ამიტომაც გადავწყვიტე...

**— ერთ-ერთი ფაქტორი გიორგი გოგშელიძესთან კონკურენციაც ხომ არ იყო?**

— გიორგი ძალიან ძლიერი მოჭიდავეა და მის გვერდით ვარჯიში ნებისმიერი ვარსკვლავისთვის სანატრელია. ჩვენს შორის მართლაც დიდი კონკურენცია იყო და კიდევ იქნებოდა, მაგრამ ამით საქართველოს ნაკრები გაცილებით ნაკლებს მოიგებდა, ვიდრე ჩემი და გიორგის სხვადასხვა წონაში ჭიდაობით. ქვეყნის ინტერესიდან გამომდინარე, ასე სჯობდა, ერთმანეთთან ჭიდილში ზედმეტი ძალა არ უნდა დავკარგოთ. თან ფიზიკურად უფრო ძლიერი ვარ და მძიმეში გადასვლის საფუძველს წონის მატებაც მაძლევდა. არის კიდევ ერთი ფაქტორი, რომელსაც ყველაზე მაღლა ვაყენებ — ცხოველი ინტერესი, შევჭიდებოდი დიდ სპორტსმენებს. მიზანი კარგა ხნის წინ დავისახე. უკვე გამალებით ვმუშაობ და იმედია, მივაღწევ კიდეც.

**— საქართველოს ჩემპიონატზე რატომ არ სცადე ძალა ახალ წონაში?**

— მოსამზადებელი გეგმა რამდენიმე ეტაპისგან შედგება და ამ ეტაპზე ტურნირის ჭიდაობა გაუმართლებელი იყო. იმ სპორტსმენთა კატეგორიას არ მივეკუთვნები, ვისთვისაც მთავარი მონაწილეობაა.

**— ახლა რამდენს იწონი?**

— 104 კილოგრამს. ამ წონას უდიდესი შრომის ფასად მივაღწიე.

**— დამატებით ინდივიდუალურადაც ვარჯიშობ?**

— რუსთავში დავით რაზმაძესთან ფიტნეს კლუბში ვემზადებოდი. ეს კაცი ჩემი მეგობარია და ადრეც ბევრჯერ დამხმარებია. ახლა ჩემთვის ყველაზე მთავარი სწორედ ფიზიკური მომზადებაა და რუსთაული ვარჯიშებიც აუცილებლად სასიკეთოდ წამადგება. ძალიან დიდ დატვირთვებს ვეჭიდები და აღდგენითი პროცედურებიც აუცილებლად მჭირდება. ამაში დავით ტატიშვილის გამაჯანსაღებელი კომპლექსი მეხმარება.

**— მართალია, ცოტა მოიმატე, მაგრამ მძიმეწონოსნებთან შედარებით მაინც მსუბუქი ხარ. მაინც რის ხარჯზე უნდა აჯობო გოლიათებს?**

— მასა [illegible] უპირატესობა, მაგრამ სიმსუბუქის სასიკეთოდ გამოყენება უნდა შევძლო. მეც მაქვს რაღაც პლუსები, რომლებიც დიდ მოჭიდავეებთან ბრძოლაში დამეხმარება. დაკონკრეტებას არ მოვყვები, ეს სიურპრიზად დავტოვოთ. მხოლოდ ერთ მომგებიან პოზიციას ვახსენებ, რომლის წინასწარ ცოდნაც კონკურენტებს არათუ დაეხმარებათ, არამედ პირიქით, ხელს შეუშლით. ეს მსოფლიოს ჩემპიონობაა. ტიტულიანი მოჭიდავეების მორიდება ყოველთვის აქვთ, არ აქვს მნიშვნელობა, ამ ტიტულებიანმა კაცმა წონა შეიცვალა თუ არა.

**— აპრილის ბოლოს ევროპის ჩემპიონატია. მასზე ჭიდაობას აპირებ?**

— იქამდე ახალ წონაში საერთაშორისო არენას შევეჩვევი. მარტში ტაშკენტში გავალ ხალიჩაზე. ვეცდები, ევროპამდე ფორმა მაქსიმალურად ავკრიფო, თუმც ესეც რომ ვერ მოვასწრო, ტრაგედია არ იქნება. უახლოესი შეჯიბრები ხომ 2008 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მოსამზადებელი ერთ-ერთი ეტაპია.

**— ესე იგი პეკინზე აქედანვე ფიქრობ?**

— აუცილებლად. ოლიმპიური თამაშები ხომ ყველა შეჯიბრების გვირგვინია. თან იმ ხალხთან ვარ ვალში, ჩემი ათენური ტკივილი ჩემთან ერთად რომ გადაიტანა.

**— ისევ ევროპას მივუბრუნდეთ. კონტინენტის პირველობა აქამდე ხუთჯერ მოგიგია...**

— ის სხვა წონაში იყო. ახლა კი სულ სხვა მწვერვალს უნდა შევუტიო. ამ მწვერვალის დაპყრობა ბევრად ძვირფასი იქნება, ვიდრე ძველ წონაში მეექვსედ ჩემპიონობა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# ბერძენ-რომაელებმა მედლები ჩაიხუთეს, თავისუფლები კი ჩახუთდნენ

*ევროტურნირებიდან დაბრუნებულმა მოჭიდავეებმა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის დარბაზში პრესკონფერენცია გამართეს. მასმედიას საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტები — თამაზ გეგეშიძე და თემურ ყაზარაშვილი და ბერძენ-რომაელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩია შეხვდნენ*

დარჩიას თერთმეტკაციანმა გუნდმა საფრანგეთში, კრეტეის ტურნირზე იჭიდავა და ხუთი მედალი მოიპოვა, თან 48 ქულით გუნდური მეორე ადგილიც დაიკავა.

*ბეგი დარჩია:* „მთლიანად გუნდის გამოსვლა დამაიმედებელია. ბევრი ხარვეზიც გამოჩნდა, მაგრამ უფრო მეტი კარგი დავინახეთ. ყველაზე სასიხარულო რევაზ ჭელიძის ოქრო იყო. ეს ბიჭი ნაკრებში ახლა იმკვიდრებს ადგილს და უკვე სერიოზული განაცხადის გაკეთება მოასწრო. ჩემპიონი ხომ გახდა, თან უძლიერეს მეტოქეებს მოუგო. მათ შორის ამერიკელ მსოფლიოს ჩემპიონს. 74 კილოგრამი წონითი კატეგორიის ფინალი სულაც ქართული გამოდგა. მანუჩარ კვირკველიამ და გენადი გოგიშვილმაც სახელიანი მოწინააღმდეგეები ჩამოიცილეს. ჩემპიონი კი კვირკველია გახდა.

...ოქრომდე წამები დააკლდა შალვა გადაბაძეს (84 კგ). ფინალშიც იგებდა, მაგრამ... შეცდომასთან ერთად მისი მარცხი არაობიექტურმა მსაჯობამაც განაპირობა, მასპინძელს ხვდებოდა და ეს მოსალოდნელიც იყო. კმაყოფილი ვარ რევაზ ლაშხითაც (55 კგ). მართალია, იგი უმედლოდ დარჩა, მაგრამ დებიუტანტის კვალობაზე საკმაოდ კარგად იჭიდავა. ამავე წონაში ირაკლი ჭოჭუამ მესამე ადგილი დაიკავა.

...ფრანგულმა ტურნირმა იმედები ჩამისახა. ახალგაზრდული გუნდი გვყავს და ერთადერთი, რაც გვაკლია, გამოცდილებაა. ევროპის ჩემპიონატამდე თვენახევარზე მეტია და ეს პრობლემა აუცილებლად უნდა მოვაგვაროთ. 26 თებერვალს ევროსამზადისს ბაკურიანში, ფიზმომზადების შეკრებით დავიწყებთ, მარტის დასაწყისში ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირს ვიჭიდავებთ, მერე კი ორ ბორჯომულ შეკრებასაც მოვასწრებთ“.

რევაზ ჭელიძის ჭიდაობა თამაზ გეგეშიძემაც გამოარჩია. მანვე საჭიდაო წესებში მორიგი ცვლილებებიც ახსენა. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციას სიახლეები მოჭიდავეთათვის ზედ ფრანგული ტურნირის წინ შეუთავაზებია და კრეტეიშიც ექსპერიმენტის სახით გამოუცდია.

ბეგი დარჩიამ წესებზე მხოლოდ ის თქვა, ჭიდაობა უფრო ტრავმული გახდაო და საფრანგეთში ტრავმამიღებული ორი შეგირდიც იქვე ახსენა. ოლიმპიურ პრიზიორ რამაზ ნოზაძეს (96 კგ) პირველი წრე გაუვლია, მერე კი რუს მეტოქესთან ნეკნი უტკენია და ხალიჩაზე გასვლა ველარ მოუხერხებია. იგივე მიზეზით გამოაკლდა ტურნირს ლაშა ლომაძეც (66 კგ).


ბადრი ქეთილაძის ფოტო

პრესკონფერენციას საფრანგეთმოვლილი მოჭიდავეებიც დაესწრნენ

გასულ უქმეებზე თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა ირანში, მსოფლიოს თასზე იჭიდავეს და ტურნირს თემურ ყაზარაშვილიც მსაჯობდა.

„მიზეზთა გამო, ირანში გადახალისებული ნაკრები ჩავიყვანეთ. ზოგიერთმა საქართველოს ჩემპიონატზეც კი ვერ შეძლო მედლის მოპოვება და, სიმართლე გითხრათ, თასისთვის ბრძოლა რომ გაჭირდებოდა, თავიდანვე ვიცოდით — გვითხრა ყაზარაშვილმა — ჩვენი თანაჯგუფელები კუბა და უკრაინა პირიქით, უძლიერესი შემადგენლობით იყვნენ წარმოდგენილნი და მოგვიგეს კიდეც. პირველი ნომრებით დაკომპლექტებული გუნდი ჰყავდა თურქეთსაც, რომელსაც ბოლოს შევხვდით. ამ ბრძოლას მეხუთე ადგილის მფლობელი უნდა გამოევლინა და ჩვენ ვიმარჯვეთ.“

**ოთარ მაღლაკელიძე**

# ფრანგებმა ბორჯღალოსანს წითელი აუნთეს

## გორგოძეს ყოფნა-არყოფნა უდგას



*შაბათს, 25 თებერვალს ევროპის ერთა თასის პრაქტიკულად გადამწყვეტი ჯახია. ბუქარესტში, გენჩას ტყე-პარკში საქართველოს ნაკრები მთავარმეტოქე რუმინეთს შეერკინება. ამასთან ჩვენები შარშან ერონვულზე მოგებულ, ჩვენ ორთა შორის საცილო „ანთიმოს ივერიელის“ თასს დაიცავენ. ორი დღეა, რაც საამატჩოდ ბორჯალოსნები საფრანგეთის პატარა ქალაქ ბლუაში შეიკრიბნენ. გუშინ კი საფუძვლიანი მზადებაც დაიწყეს. ერთი ეგაა, სარუმინეთო რაზმში შეიძლება მნიშვნელოვანი იძულებითი ცვლილება მოხდეს*

— მამუკა გორგოძემ ამ უქმეებზე საფრანგეთის ჩემპიონატში წითელი ბარათი მიიღო. დისკვალიფიკაცია საერთაშორისო მატჩებზეც ვრცელდება და დიდი შანსია, რუმინეთთან მატჩი ამის გამო გაუცდეს — გვითხრა გუშინ ბორჯღალოსანთა მწვრთნელმა ირაკლი გიორგაძემ, საფრანგეთში რომ დავუკავშირდით.

— არის მცირე იმედი, რომ გორგოძემ რუმინეთთან ითამაშოს?

— ამას ალბათობა არსებობს. შეიძლება, ჩვენი ფედერაციის თხოვნა დააკმაყოფილონ და გორგოძეს სანაკრებო კი არა, საკლუბო მატჩი გამოატოვებინონ. გორგოძეს არყოფნა ძალიან დიდი დანაკლისი იქნება ჩვენთვის.

— მისი შემცვლელი დასახელდა?

— დიახ, ვიქტორ დიდებულიძე გამოიძახეს, ის ამ დილით შემოგვიერთდა.

— სხვა პრობლემებიც ხომ არ გაქვთ?

— არა, აქ მშვენიერ პირობებში ვართ. მხოლოდ ვარჯიშებზე ვფიქრობთ, ჩემს გარდა ტრავმა არავის არ აწუხებს და ყველა სრული დატვირთვით ემზადება.

— შენც ტრავმა გაქვს?

— საგანგაშო არაფერია. მუხლი მტკივა. ორი დღე უნდა დავისვენო. რუმინეთთან აუცილებლად ვითამაშებ.

— მატჩის წინა განწყობა როგორია?

— როგორც ყოველთვის, ბრძოლის ჟინი არ გვაკლია. ძნელი მატჩი იქნება, მაგრამ უიმედოდ არც ჩვენ ვართ. დროა, რუმინეთს მეორედაც მოვუგოთ ბუქარესტში. ის განწყობა უნდა შევინარჩუნოთ, რაც რუსეთთან იყო და ყველაფერი კარგად იქნება.

— საფრანგეთის ჩემპიონატში რუმინელებიც ბლომად თამაშობენ. თქვენზე კარგად არავის ეცოდინება, როგორ ფორმაში არიან ისინი.

— ძალიან ძლიერად არიან მომზადებული. საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში რუმინელთა ახლანდელი ნაკრების წევრთა უმეტესობამ ითამაშა და თითქმის ყველა „დაფრინავდა“. ასეთ ფორმაში ბოლო სამი-ოთხი წელია, არც ყოფილან. თავიდანვე რამე თუ არ მოვუხერხეთ, მერე მათი შეჩერება შეუძლებელი იქნება.

ბოლოს კიდევ ერთხელ შეგახსენებთ ბორჯღალოსანთა სარუმინეთო რაზმს:

***შერკინება:*** *გოდერძი შველიძე, დავით ზირაქაშვილი (ორივე მონფერანი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი), ილია ზედგინიძე, გიორგი კუთარაშვილი (ორივე ექსან-პროვანსი), ავთო კოპალიანი (მონტობანი), მამუკა გორგოძე (მონპელიე) ან ვიქტორ დიდებულიძე (მასი), ლევან დათუნაშვილი (ბორდო), ზვიად მაისურაძე (ლოკომოტივი), რატი ურუშაძე (ენისეი), გია ლაბაძე (ტულონი), ბესო უდესიანი (შალონი).*

***უკანა ხაზი:*** *ოთარ ბარკალაია (ანდორა), ბესიკ ხამაშურიძე (როვიგო), ირაკლი მაჩხანელი (ბეზიე), მალხაზ ურჯუკაშვილი (კანი), ირაკლი გიორგაძე (ბურგუენი), პალიკო ჯიმშელაძე (ბობინი), ირაკლი აბუსერიძე (ორლეანი), თემურ სოხაძე (ვიარზონი), გიორგი შკინინი (ხულიგანა), ბიძინა სამხარაძე (ფარული).*

**ბაჩო სვანიძე**



## ქართველები უცხოეთში

# თასომანია

## მარკოიშვილმა ქართველებს აჯობა



**გასული კვირა** ევროპაში სათასო იყო, ხოლო ოკეანგაღმა რეგულარული ჩემპიონატის მატჩები ოლ სტარის უიკენდმა დაჩრდილა. ნბა-ს კრებულისა რა მოგახსენოთ, ქართველებს ამ ვარსკვლავთცვენაში რა ესამქებოდათ, აი, ევროპაში კი ერთ-ერთმა ჩვენიანმა თავიც გამოიჩინა და თასიც ზეაღმართა.

სანამ მანუჩარ მარკოიშვილის ყოჩაღობის შესახებ მოვყვებოდეთ, გასული კვირის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი გამოვარჩიოთ. ორწლიანი უქმობის შემდეგ ვახტანგ ნაცვლიშვილი პირველად გამოჩნდა მოედანზე. ეს მოხდა გასულ ხუთშაბათს, როცა „დიჟონმა“ საფრანგეთის „ასთა თასზე“ „ლე მანთან“ წააგო და ამ მინი-ტურნირს მეოთხედფინალიდან გამოეთიშა.

„ასთა თასი“ ვახსენეთ და მოდით, ამ სათასო კვირეულის რაობა ავხსნათ. ევროპის თითქმის ყველა წამყვან ქვეყანაში სათასო ტურნირები იმართება, რომელსაც ყველგან სხვადასხვა სახელი ჰქვია. საფრანგეთში „ასთა“, სლოვენიაში „კოპერის“, იტალიაში კიდევ რაღაცის და ასე შემდეგ. ეს არ არის ქვეყნის თასის ოფიციალური გათამაშება, რომელშიც ყველა გუნდი მონაწილეობს, არამედ უმაღლესი ლიგის ლიდერთა მინი-ტურნირია, სადაც გასული სეზონის შედეგებით საუკეთესო 8 გუნდი ილვწის პირველობისთვის.

მაშ ასე, ევროპის რაგინდარა თასებისთვის ბრძოლაში ქართველებიც მონაწილეობდნენ და „კოპერად“ წოდებული, სლოვენიაში გათამაშებული თასი მანუჩარ მარკოიშვილის „ოლიმპიამ“ მოიგო. ფინალი სულაც „ქართულ დერბად“ შეიძლება მოვნათლოთ. „ოლიმპიას“ მეტოქე დავით უგრეხელიძის „პივოვარნა“ გახლდათ.

„ოლიმპიამ“ ფინალში 78:71 იმარჯვა, მარკოიშვილმა კი 26 წუთში 11 ქულა შეაშველა ლიუბლიანელებს. „მანო“ კიდევ უფრო შედეგიანი იყო ნახევარფინალში, როცა „ჰელიოსს“ 18 ქულა ჩაუგდო. ბარემ მეოთხედფინალისაც ვთქვათ, სადაც „ოლიმპიამ“ „ლოკა კავა“ დაამარცხა და ქართველ უკანახაზელს 6 ქულა დაუგროვდა.

დავით უგრეხელიძემაც თასის სამივე მატჩში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ მარკოიშვილის დარი შედეგიანობა ვერ გამოიჩინა. მან ფინალში 4 წუთში 2 ქულა მოიმკა, ხოლო ნახევარფინალში „როგლას“ 4 ქულა ჩაუგდო.

ვლადიმერ ბოისას „სიენა“ იტალიის თასის ნახევარფინალში გავიდა, მაგრამ იქ „რომასთან“ დამარცხდა. ვოვამ ვერც ერთ მატჩში ვერ გამოიჩინა თავი. ჯერ იყო და, „ვარეზესთან“ მოეთხედფინალში 11 წუთში მხოლოდ 1 ქულა მიითვალა, შემდეგ კი „რომასთან“ 6 უქმე წუთი გაატარა მოედანზე.

სათასო ციებ-ცხელება არ შეხებია ლაშა გამყრელიძის „პანტერსს“, რომელიც ავსტრიის ბუნდესლიგაში ცხრილის ქვედა ნაწილში ყვინთაობს.

ლიტვის ქვედალიგელებს კი თასზე არაფერი ესაქმებოდათ და ლევან შენგელიამ და ტატო ვაშაკიძემ მორიგი თამაშებიც გამართეს. მცირედ ნატრავმალ შენგელიას „აკადემიის“ წინა მატჩებში მონაწილეობა არ მიუღია, ამ უქმეებზე კი ორიდან ერთ შეხვედრაში ითამაშა: „ალიტას“ დამარცხებაში 7-ქულიანი წილი დაიდო, რაც 12 წუთში მოახერხა.

ვაშაკიძემაც ორიდან ერთ მატჩში ითამაშა — „პრინას“ წინააღმდეგ „პასვალიოს“ 24 წუთში 13 ქულა შეაშველა.

ოკეანგაღმა, მოგეხსენებათ, ოლ სტარი გაიმართა და ქართველებმაც გასულ კვირაში რეგულარული ჩემპიონატის მხოლოდ თითო შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა.

ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ“ სტუმრად „ლეიკერსი“ განგმირა და ჩვენიანს 27 წუთში 12 ქულა დაუგროვდა.

„ფინიქსში“ სარეკორდოდ ბევრი ითამაშა ნიკა ცქიტიშვილმა, თუმც ეს „ბევრი“, სამწუხაროდ, მხოლოდ 9 წუთია. უფრო ცუდი კი ისაა, რომ ქართველი ფორვარდის ანგარიშზე „ჰიუსტონთან“ მოგებულ მატჩში მხოლოდ 1 მოხსნა დაგროვდა. ისე, „სკიტა“ ბევრს ეცადა, 4-ჯერ ესროლა საშუალო მანძილიდან, მაგრამ ყველა აუცდა.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | იტალიის თასი | რომა | 6 | 70:83 | 6 | 0 | 1 | 0 |
| | | | ვარეზე | 6 | 90:68 | 11 | 1 | 3 | 1 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | სლოვენიის თასი | პივოვარნა | 6 | 78:71 | 26 | 11 | 2 | 0 |
| | | | ჰელიოსი | 6 | 71:63 | 32 | 18 | 4 | 2 |
| | | | ლოკა კავა | 6 | 87:66 | 25 | 6 | 2 | 1 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | დიჟონი | საფრანგეთის თასი | ლე მანი | 6 | 68:69 | 11 | 4 | 2 | 0 |
| დავით უგრეხელიძე | პივოვარნა | სლოვენიის თასი | ოლიმპია | 6 | 71:78 | 4 | 2 | 0 | 0 |
| | | | როგლა | 6 | 82:55 | 8 | 4 | 2 | 0 |
| | | | სლოვანი | 6 | 76:75 | 7 | 0 | 0 | 0 |
| ტატო ვაშაკიძე | პასვალიო | ლიტვის A ლიგა | პუნტუკასი | ს | 84:87 | არ უთამაშია | | | |
| | | | პრიენა | შ | 81:88 | 24 | 13 | 1 | 1 |
| ლევან შენგელია | აკადემია | ლიტვის A ლიგა | ალიტა | შ | 104:96 | 12 | 7 | 2 | 0 |
| | | | კლაიპედა | ს | 72:73 | არ უთამაშია | | | |
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა | NBA რეგულარ. ჩემპ. | ლეიკერსი | ს | 114:110 | 27 | 12 | 3 | 2 |
| ნიკა ცქიტიშვილი | ფინიქსი | NBA რეგულარ. ჩემპ. | ჰიუსტონი | შ | 109:75 | 9 | 0 | 1 | 0 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

# ვიკინგების ეპოქა დასრულდა

## გერმანელებმა საჩემპიონოდ ისროლ-ისრიალეს

**ბიატლონი**

**კაცები**

ესტაფეტა 4X7,5 კმ

1 გერმანია (რიკო გროსი, მიხაელ როში, სვენ ფიშერი, მიხაელ გრაისი) — 1:21.51,5 (1)
2 რუსეთი (ივან ჩერეზოვი, სერგეი ჩეპიკოვი, პაველ როსტოვცევი, ნიკოლაი კრუგლოვი) — 1:22.12,4 (0)
3 საფრანგეთი (ჟულიენ რობერი, ვენსან დეფრანი, ფეროლ კანარი, რაფაელ პუარე) — 1:22.35,1 (0)

ბიატლონში ნორვეგიული ერა დასრულდა, გერმანული კი დაიწყო. ეს საბოლოოდ გუშინ გაფორმდა, როცა გერმანელებმა ტურინში უკვე მეოთხე ბიატლონური ოქრო მოიპოვეს და სრულფასოვანი რევანში აიღეს სოლტ ლეიკ სიტის აბსოლუტურად ჩაგდებული ოლიმპიადის შემდეგ, როცა სკანდინავებმა ოთხიდან ოთხი ოქროს მოგება შეძლეს.

ნორვეგიელებს თავიანთი ბიატლონისტების დიდი იმედი კი ჰქონდათ, განსაკუთრებით ოლე-ეინარ ბიორდალენის, მაგრამ გერმანელები გაცილებით უკეთესად მომზადებულნი შეხვდნენ ამ ოლიმპიადას, რაც გუშინდელ ესტაფეტაშიც კარგად გამოჩნდა. ტევტონებმა, უპირველესად, ძალიან სტაბილური შემადგენლობის ხარჯზე მოიგეს. ეს კი მათი მთავარი მწვრთნელის ფრანკ ულრიხის დამსახურებაა, რომელმაც უკვე ოთხგზის ოლიმპიელ ძველ გვარდიელებს — სვენ ფიშერსა და რიკო გროსს ახალი თაობის წარმომადგენლები კარგად შეუწყვილა.

პირველმა სტარტი რიკო გროსმა აიღო. მან საკმაოდ მშვიდად გაიარა ტრასა და ესტაფეტა მიხაელ როშს ლიდერის რანგში გადასცა. გროსმა შეძლო მთავარი ამოცანის შესრულება — ნორვეგიასა და რუსეთთან თავის ნაკრებს საკმაოდ დიდი ჰანდიკაპი შეუქმნა.

კიდევ უფრო უკეთესად ისრიალა როშმა და სვენ ფიშერს თითქმის 40-წამიანი ფორა მიუტანა უახლოეს მდევართან. ამასობაში კი ნორვეგიელები გერმანელებთან წუთს აგებდნენ.

ტევტონები კინაღამ დაალალატა მათმა უპირობო ლიდერმა, ფიშერმა. მან მეორე სროლისას ვერ შეძლო ერთი სამიზნის დახურვა და საჯარიმო წრეზეც წავიდა. სამაგიეროდ, უნაკლო იყო რუსთა ვეტერანი პაველ როსტოვცევი, რომელიც კვალში ჩაუდგა ფიშერს.

საბოლოოდ ყველაფერი ბოლო მონაწილეებს უნდა გადაეწყვიტათ. მიხაელ გრაისმა ფიშერისგან 18-წამიანი უპირატესობა მიიღო და ისე გავიდა ტრასაზე. მას მაქსიმალური კონცენტრაცია სჭირდებოდა, ვინაიდან ჩემპიონობის შანსი რუსების გარდა, ფრანგებსაც გაუჩნდათ. გალთა მეოთხე ნომერი კი ძალიან გამოცდილი რაფაელ პუარე იყო.

აქ თითქოს დაიძაბა ვითარება, მაგრამ გრაისმა კრუგლოვსა და პუარეზე სწრაფადაც ისრიალა და უკეთესადაც ისროლა. საბოლოოდ, ბოლო წრეზე გასულ გერმანელს კომფორტული უპირატესობა ჰქონდა. კრუგლოვმა მეორე პოზიციის დაკავება შეძლო, პუარემ კი, იმის მაგივრად, რომ გრაისს გამოსდევნებოდა, წინ შვედებიც გაუშვა და მეოთხე იყო.

საბოლოოდ, ფინიშზე პირველი ეროვნული დროშის ფრიალით, გრაისი მივიდა და თავისი მეორე ტურინული ოქროც გაიფორმა. მეორეზე რუსეთი გავიდა, მესამე ადგილისთვის კი ნამდვილი ბრძოლა გაიმართა პუარესა და შვედ კარლ იოჰან ბერგმანს შორის. გამარჯვებული რომ გამოევლინათ, ფოტოფინიშის ნახვა გახდა საჭირო, სადაც გამოჩნდა, რომ პუარემ სანტიმეტრებით აჯობა შვედს და ფრანგებს ბრინჯაო მოუტანა.

„ეს ფანტასტიკური გუნდური რბოლა იყო, სადაც გამარჯვება ჩვენ მოვიპოვეთ. ეს, მართლაც, დიდებული შედეგია... იოლი სულაც არ იყო, ჩვენ ნამდვილი ბრძოლა გადავიტანეთ... კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ მორალურადაც ძალიან მაგრები ვართ" — აღფრთოვანებული იყო გერმანელთა თავკაცი ფრანკ ულრიხი.

ფიშერმა კი თქვა, ჩემი შეცდომის გამო ოქრო რომ დაგვეკარგა, ალბათ, აღარასოდეს ვისრიალებდიო.

**ქახა ლომაშვილი**



მიხაელ გრაისმა და სხვა გერმანელებმა ნორვეგიას ბიატლონში ყოჩობა ჩამოართვეს

AFP ტურინიდან







AFP ტურინიდან

# კანადა და სულ სხვა

**ჰოკეი**

**ქალები**

ფინალი

**კანადა 4:1 შვედეთი**

მე-3 ადგილისთვის

**აშშ 4:0 ფინეთი**

ტურინის ოლიმპიადა ორიგინალურად შევა ქალთა ჰოკეის ისტორიაში. პირველად მოხდა, რომ დიდი საერთაშორისო ტურნირის ფინალში ერთმანეთს კანადა და აშშ არ შეხვდნენ. აქამდე ოქრო-ვერცხლს ეს ორი ჩრდილოამერიკული გუნდი ინაწილებდა, ხოლო დანარჩენები ბრინჯაოზელა თუ ებრძოდნენ ერთმანეთს. ამ ორთა დაპირისპირებაშიც კანადელებს ჰქონდათ დიდი უპირატესობა, თუმც ბოლო ხანებში თანდათანობით უჭირდათ მთავარი მეტოქის ძლევა.

ტურინში ყველაფერი გადატრიალდა და მოულოდნელად ფინალში მხოლოდ კანადა გავიდა. აი, ამერიკელებმა კი ნახევარფინალში წაიბორძიკეს და მთავარი სენსაციის ავტორი შვედეთი გახდა. ამერიკელებს ცუდს თითქოს არაფერი უქადდა მას შემდეგ, რაც ისინი პირველ პერიოდში 2:0 დაწინაურდნენ. მაგრამ თანდათან სკანდინავმა ქალებმა იგდეს ხელთ ინიციატივა და ძირითად დროში ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, ხოლო ბულიტების სერიაში დაამარცხეს კიდეც მრისხანე მეტოქე.

ცხადია, ამის შემდეგ ბევრი მოუთმენლად ელოდა ფინალს, მაგრამ მეორე „ყინულის სასწაული" აღარ მოხდა. მეათე წუთზევე ჯილიან აპსმა დააწინაურა კანადა, ათიოდე წუთში ანგარიში 2:0 გახდა, დანარჩენი კი ტექნიკის საქმე იყო და მრავალნაცად კანადელ ქალებს 4:1 მოგება და ოლიმპიური ოქროს მოპოვება აღარ გასჭირვებიათ.

ამ გამარჯვების შემდეგ ნაკრების ვეტერანმა, ქალთა ჰოკეის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელმა ჰაილი ვიკენჰაიზერმა ბრწყინვალედ დაასრულა კარიერა. იგი ერთადერთი ქალია, რომელსაც კაცებს შორისაც კი უცდია ძალები — საკმაოდ დიდ ხანს ჰაილი ფინეთის მეორე ლიგაში თამაშობდა. ვიკენჰაიზერი 17 ქულით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირად იქცა, ტურნირის უძვირფასეს მოთამაშედაც დაასახელეს და მეორე ოლიმპიური ოქროც მოიპოვა. რაც შეეხება მესამე ადგილისთვის მატჩს, აშშ-ს ნაკრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ნახევარფინალში მწარე მარცხის შემდეგ მაინც მოახერხა მობილიზება და ფინეთს ოთხი უპასუხო შაიბა გაუტანა.

**სამველ ლარიბიანი**

**მედლები**

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1 გერმანია | 9 | 7 | 5 | 21 |
| 2 ავსტრია | 8 | 5 | 3 | 16 |
| 3 აშშ | 7 | 7 | 4 | 18 |
| 4 რუსეთი | 7 | 3 | 5 | 15 |
| 5 იტალია | 4 | - | 5 | 9 |
| 6 კანადა | 3 | 6 | 5 | 14 |
| 7 ს. კორეა | 3 | 3 | 1 | 7 |
| 8 საფრანგეთი | 3 | 1 | 3 | 7 |
| 9 ესტონეთი | 3 | - | - | 3 |
| 10 ნორვეგია | 2 | 8 | 8 | 18 |
| 11 შვეიცარია | 2 | 2 | 4 | 8 |
| 12 შვედეთი | 2 | 2 | 3 | 7 |
| 13 ჰოლანდია | 2 | 2 | 2 | 6 |
| 14 ჩინეთი | 1 | 2 | 4 | 7 |
| 15 ხორვატია | 1 | 2 | - | 3 |
| 16 ავსტრალია | 1 | - | - | 1 |
| 17 ფინეთი | - | 3 | 3 | 6 |
| 18 ჩეხეთი | - | 2 | - | 2 |
| 19 ბრიტანეთი | - | 1 | - | 1 |
| 20 ბულგარეთი | - | 1 | - | 1 |
| 21 სლოვაკეთი | - | 1 | - | 1 |
| 22 უკრაინა | - | - | 2 | 2 |
| 23 ლატვია | - | - | 1 | 1 |


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge